ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## გურჯაანში აუზში 4 წლის ბავშვი დაიხრჩო



გვ.4


გვ.5

## ვიქტორია სექიურითის თანამშრომელმა 43 წლის ზ.თ. ცემა

სამშაბათი, 22 ივნისი, 2021 №111 (8640) ფასი: 60 თეთრი

# „გახარიას რაც უფრო ლანძღავენ, უფრო მეტ ხმას მიიღებს“




გვ.2

## თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიცია შოკშია“

## „ოცნება“ 2024 წლამდე ვერ მიატანს“


გვ.3



ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულ ოცნებას“ ახლავე ურჩევნია, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, რადგან ოპოზიცია ისევ სუსტია“

## „მსახიობებს თუ ღირსება აქვთ, „პაკლონზე“ რომ გამოვლენ, თქვან: „რუსეთი ოკუპანტია“


გვ.3

გია ბუღაძე: „სტურუა პროვოკატორია... მოსკოვში გასტროლები ქვეყანას აზიანებს“

## „რუსეთმა შემოიყვანა გახარია, რომელიც განაწყენებულ ქოცებსა და ვასაძეს იკრებს“


გვ.4

შოთა მალაშხია: „თუ პარლამენტში შევხვედი, მაშინ ე.წ. მიშელის შეთანხმებასაც უნდა დაეთანხმო“

## თამარ ჟვანია: „არსად წასვლას არ ვაპირებ“


გვ.2


გვ.4

## სულხან სალაძე: „გახარიას წინააღმდეგ შეიძლება გამოძიება დაიწყოს“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**4** ზაზა გახელაძის დედამ თავზე ბენზინი გადაისხა
„რძალმა გადაარჩინა“

**2** რესპუბლიკურში ხალხს ასტრაზენეკათი აცრაზე უარი უთხრეს

**5** „ბადრი ჩემთვის მკვდარია. მისი არაფერი მაინტერესებს“
რას ამბობს ბადრი ესებუას მამა

**6** სომხეთში ფაშინიანის პარტია 53,92%-ით ლიდერობს
ბლოკი „სომხეთი“ შედეგებს არ აღიარებს

# „გახარიას რაც უფრო ლანძღავენ, უფრო მეტ ხმას მიიღებს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიცია შოკშია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების მიმართ? გახარია წინასაარჩევნოდ საკმაოდ სერიოზულ შეხვედრებს მართავს დასავლეთში. ევროპიდან ახლა ამერიკას სტუმრობს. ბევრი ფიქრობს, რომ ახალ ძალას ამზადებენ ხელისუფლების შესაცვლელად. ასეა?***

– გახარია რაც არ უნდა ზარ-ზეიმით მიიღონ ბრიუსელსა და ამერიკაში, არჩევნებში ქართველი ხალხი აძლევს ხმას და არა ბრიუსელის ჩინოვნიკები და ამერიკელები. მის მიმართ კეთილგანწყობა აიხსნება რამდენიმე ფაქტორით: პირველი – ამ ეტაპზე არის მაღალრეიტინგული ოპოზიციური ლიდერი, მეორე – არის ახალი ოპოზიციური ძალა, რომელიც იზრდება და ძალებს იკრებს. მისი გუნდი იზრდება და მესამე – აქვს თავისი კონტაქტები.

***– ანუ ამ ყველაფერს სათავისოდ იყენებს?***

– იყენებს და ძალიანაც კარგსაც შვრება.

***– როგორც ჩანს, გახარიას ეს ყოველივე წინასაარჩევნო კამპანიისთვის სჭირდება. შეეძლო, ჩუმად გაემართა ეს შეხვედრები.***

– როცა ამერიკასა და ბრიუსელში გიღებენ, ჩუმად რატომ უნდა გამართო? პირიქით, უნდა იყვირო, აი, ამერიკაში ჩავედი და ძალიან კარგად მიმიღესო. ფოტოებიც უნდა აფრიალოს, როგორც ამას ყველა აკეთებს. მით უმეტეს, ზოგი პრორუსულობას აბრალებს და სწორედ რომ უნდა გამოაჩინოს.

***– რამდენად აზარალებს გახარიასა და მის გუნდს ასეთი დაპირისპირება „ქართულ ოცნებასთან“, უფრო ზუსტად, კობახიძის ფრთასთან?***

– არა მგონია, აზარალებდეს. „ქართულ ოცნებას“ კი აქვს ყველაზე მაღალი რეიტინგი, მაგრამ გახარია უფრო შუაშისტების ხმებზე მუშაობს. თუმცა „ოცნების“ ხმებზეც მუშაობს. ასე რომ, რაც უფრო ლანძღავენ, უფრო მეტად მიიღებს ხმებს.

***– 20 ივნისის საქმეს ხელისუფლება თავიდან ბოლომდე გახარიას აბრალებს, მთლიანად მან შექმნა ეს პრობლემაო.***

– პრინციპში, ამის დაბრალება არ იქნება რთული, იმიტომ რომ გახარია აცხადებს, თავიდან ბოლომდე ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებო. შესაბამისად, მარტივად ჰბრალდება. დღესაც აცხადებს, მე ვიღებ ჩემს თავზეო. კი ბატონო, იბრალებ, იბრალებ!

***– თავიდანვე გაჩნდა კითხვის ნიშნები, ასე მარტივად რატომ აიღო ყველაფერი თავის თავზე? ნუთუ ერთი გახარია წყვეტდა ყველაფერს?***

– არ ვიცი, რატომ აიღო. მას, ეტყობა, გულწრფელად სჯერა, რომ იმ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შტურმის მოგერიება, დანარჩენი არ იყო ისე მნიშვნელოვანი, ამის გულწრფელად სჯერა და ამ ბოდიშსაც არ გადაუხვია. ისევ და ისევ გავიმეორებ, მან რომ თავის პოზიციას არ გადაუხვია, ეს ძალიან მომწონს. თანმიმდევრულობა პოლიტიკაში არ არის ხშირი და ამიტომ მომწონს.



***– გასაგებია, რომ გახარია თავის თავზე იღებს 20 ივნისს, მაგრამ „ოცნებაც“ რომ მთლიანად მას აბრალებს, ეს რამდენად სწორია? ან თუ ასეთი დამნაშავე იყო, პრემიერად რატომ დააწინაურეს?***

– მორალურად რამდენად გამართლებულია, ეს უკვე სხვა ამბავია. პოლიტიკაში კი მორალი არ არის პირველ ადგილზე.

***– ბიძინა ივანიშვილის ჩართულობის გარეშე ეს ყველაფერი რამდენად წარმოგიდგენიათ?***

– ამაშიც ვეთანხმები გახარიას. არა მგონია, ივანიშვილს დეტალებით თავი შეეწუხებინა. ივანიშვილს უთხრეს ალბათ, რომ ასეთი რამ ხდება და მანაც თქვა, მიდით და მოუარეთო, თვითონ კი წავიდა და დაიძინა. ამათმაც მოუარეს ისე, როგორც საჭიროდ ჩათვალეს. მე ასე მგონია.

***– „ქართული ოცნება“ რამდენად თანმიმდევრულია? ამბობენ, რომ საარჩევნო შტაბსა და კამპანიას კობახიძე უხელმძღვანელებს. იმდენად აგრესიული და ნეგატიური ფიგურაა, ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა?***

– რა გითხრათ, აბა. კობახიძის ფიგურა რომ ბევრს არ მოსწონს, ეს ნამდვილად ვიცი. როგორც ჩანს, „ოცნება“ აპირებს, კვლავაც კონფრონტაციული და პოლარიზებული საარჩევნო კამპანია ჩაატაროს, ან ჩვენ, ან მიშა სააკაშვილი და, თუ ეს გამოუვათ (ისე, პრინციპში, აქამდე გამოსდიოდათ), უნდა ვაღიაროთ, რომ გამოსდით იმის წყალობითაც, რომ სააკაშვილიც მშვენივრად თამაშობს ამ თამაშს. ის ამბობს: ან მე, ან ბიძინა! და გადასარევი თამაში გამოდის, საბოლოო ჯამში, ეს მთავრდება „ოცნების“ სასარგებლოდ. დიდი ეჭვი მაქვს, კვლავაც ასე მოხდება. თუ ისევ ის თამაში წამოიწყეს, რომ ან ჩვენ, ან მიშა, დიდი შანსია, იგივე მოხდეს, რაც ხდებოდა აქამდე.

***– გახარიასაც მიშასთან ალიანსს აბრალებენ...***

– კი, ასეა და კობახიძე ამ თამაშისთვის, აგრესიული, პოლარიზებული კამპანიის წაყვანისთვის ზედგამოჭრილია.

***– რომელ მხარეს დააზარალებს ეს ზედაპირული განცხადებები? ჯერჯერობით მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლებიან, როდესაც გახარიას სდებენ ბრალს.***

– მე მგონია, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ განცხადებების დონეზე დარჩება, რადგან „ოცნებასვე“ ძალიან დააზიანებს, მათივე პრემიერის წინააღმდეგ რომ დაიწყონ საქმეების აღძვრა, მით უმეტეს – ამ სასამართლოს რეპუტაციის ფონზე.



***– სასამართლო ახსენეთ და დიდი ამბებია სასამართლო სისტემის ირგვლივ. მთელი დასავლეთი მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“, შეაჩერონ მოსამართლეების დანიშვნის პროცესი, თუმცა ყურად არ იღებენ არაფერს. ამ საკითხსაც ასე რქებით გაიტანენ?***

– შემიძლია, იმით ვიმსჯელო, რაც გარედან ჩანს და ზედაპირზე დევს. აქამდე ყველაფერი მშვენივრად გაუვიდათ და, როგორც ჩანს, ესეც უნდათ, რომ გაუვიდეთ. სასამართლო ალბათ ოდნავ უკეთესია, ვიდრე წინათ იყო, სააკაშვილის ხელისუფლების დროს. მე როგორც ვიცი, როცა განსახილველი საქმე არ ეხება პოლიტიკას, იქ ობიექტური განაჩენი დგება ხოლმე. თუმცა ეს სასამართლო არ არის ის, რაც ჩვენ გვინდა. ამ საარჩევნოდ სჭირდებათ, რომ თავიანთი ხალხი ჰყავდეთ ყველგან და მათ შორის სასამართლოში.

***– ეს ხომ არ გახდება, სანქციების თუ არა, სერიოზული საყვედურების საგანი დასავლეთის მხრიდან?***

– არა მგონია, სანქციებამდე მიიყვანონ საქმე. ძალიან ჭკვიანურად თამაშობენ, წითელ ხაზს არ კვეთენ ხოლმე. ჩვენ ვნახეთ, არჩევნების შემდეგ როგორ მშვენივრად წაიყვანეს საქმე. ისე ოსტატურად ითამაშეს, რომ ბოლოში ამერიკის ელჩი ნაცმოძრაობას ეუბნება, მოაწერეთ ხელი დოკუმენტზეო, ანუ, პრინციპში, გადასარევად მოახერხეს ის, რომ დასავლეთის კრიტიკა გადავიდა ნაცმოძრაობის მისამართით.

***– დღეს რა მოცემულობაა, რომ ოპოზიცია განეიტრალებულია? თითქოს ჩრდილში გადავიდა მთელი ოპოზიცია და მხოლოდ გახარია-„ოცნების“ დაპირისპირებაა წინა პლანზე.***

– არც იყო გასაკვირი, რომ ასე მოხდებოდა. ოპოზიციის ეს შოკი ალბათ ძალიან დიდხანს გაგრძელდება. რამდენ ხანს, ესაა საკითხავი, როდის გამოვლენ ამ შოკიდან. თუ ძალიან დიდხანს გაუგრძელდათ ეს შოკი, მაშინ დიდი შანსია იმის, რომ 2024 წლამდე ძალიან ჩვეულებრივად მივიდეს „ოცნება“.

***– ადგილობრივი არჩევნებისთვის ოპოზიცია ამ შოკიდან ვერ გამოვა?***

– მე ვერ ვატყობ ჯერჯერობით. სამი თვე დარჩა არჩევნებამდე და ჯერ რაიმე მზადებასა და მობილიზაციას ვერ ვატყობ ოპოზიციას. ძირითადად დადიან უცხოეთში, მეტი არაფერი ხდება. არადა, ადგილობრივი არჩევნები მოდის და, უცხოეთში კი არა, საქართველოს რეგიონებში უნდა იარონ.

***– წააგო ეს რაუნდი ოპოზიციამ?***

– ჯერჯერობით სწორედ ამ პროცესს ვუყურებ. ჯერ ერთი, ოპოზიცია სერიოზულად დასუსტდა. ნაცმოძრაობიდან წავიდა რამდენიმე სერიოზული ფიგურა. „ევროპული საქართველო“ პრაქტიკულად დაიშალა. დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს კი სერიოზული ამინდის შექმნის არანაირი რესურსი არა აქვთ. ნაცმოძრაობას ჰყავს უზარმაზარი ელექტორატი, ხოლო „ევროპულ საქართველოს“ ჰქონდა სერიოზული მხარდაჭერა დასავლეთში. დღეს ერთი დასუსტდა, მეორე დაიშალა. დანარჩენ პარტიებს ერთად რა შეუძლიათ? მგონი, განსაკუთრებული არაფერი.

***– რა შედეგი დადგება ამ ყველაფრის გათვალისწინებით?***

– ამ მოცემულობით „ოცნება“ აგროვებს 43%-ს, ცოტა მეტსაც და ყველაფერი გრძელდება ისე, როგორც აქამდე იყო. მართალი გითხრათ, მე გულწრფელად ველი, ბოლოს და ბოლოს, ოპოზიცია როდის გაიაზრებს თავის შეცდომებს და როდის გადაეწყობა. ჯერჯერობით ეს არ ხდება. რა უნდა მოხდეს კიდევ, რომ გაიღვიძონ და გაიაზრონ შეცდომები.

***– ამ მოცემულობაში გახარიას როლს სად და როგორ ხედავთ?***

– გახარიას კარგი სასტარტო პოზიციები ჰქონდა. ვნახოთ, ამ პოზიციებს როგორ შეინარჩუნებს, როგორ მიაღწევს არჩევნებამდე. ჯერ ყველაფერი არ გამოკვეთილა. ამიტომ დაველოდოთ. ესეც საკმაოდ საინტერესო პროცესია.

# თამარ ჟვანია: „არსად წასვლას არ ვაპირებ“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს. ამის შესახებ თამარ ჟვანიამ გუშინ, 21 ივნისს, ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ის აცხადებს, მისი გადადგომისთვის არანაირი არგუმენტი არ არსებობს და ადამიანები თანამდებობებს შეიძლება ტოვებდნენ მხოლოდ მტკიცებულების საფუძველზე და არა პოლიტიკური სურვილების გამო.

– მე ვარ აქ. მიმდინარეობს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება. შევხედოთ ამ ცვლილებებს. არსად წავსულვარ და არ ვაპირებ წასვლას. კანონმდებლობის მიხედვით იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, – განაცხადა ჟვანიამ.

როგორც ის აღნიშნავს, არც ერთი პოლიტიკური პარტიის გადასაწყვეტი არაა, დამოუკიდებელი საარჩევნო ორგანოს წევრი თუ ხელმძღვანელი გადადგება თუ არა.

– არც საარჩევნო დავების პროცესში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და არც საგამოძიებო კომისიაში არც ერთი დასაბუთება, არგუმენტი, მტკიცებულება არ შემოსულა. მე მქონდა მოლოდინი, რომ ვინმე რამეს მოიტანდა, სამწუხაროდ, ეს არ არსებობს. რა საფუძვლით შეიძლება მოითხოვოს რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ ან სუბიექტმა ნებისმიერი ადმინისტრატორის გადადგომა, ეს იქნება ცესკოს თავმჯდომარე თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ამიტომ ჩვენი პასუხია ის, რომ ჩვენ გვაქვს არგუმენტები.



ჩვენ უკან დგას სიმართლე. არც ერთი პოლიტიკური პარტიის გადასაწყვეტი არაა, დამოუკიდებელი საარჩევნო ორგანოს წევრი თუ ხელმძღვანელი გადადგება თუ არა. ამას უნდა ჰქონდეს დასაბუთება და იმ პირობებში, როდესაც დასაბუთება არაა წარმოდგენილი, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა არჩევნები ლეგიტიმურად შეაფასეს, ვთვლი, რომ ნებისმიერი შემდეგი ადმინისტრატორისთვის, რომელიც შეიძლება იყოს ცესკოს ან საარჩევნო ოლქის ხელმძღვანელი, იქნებოდა ძალიან ცუდი მესიჯი, რომ ვინმე პოლიტიკური მოთხოვნისა და სურვილის გამო წავიდეს.

ადამიანები თანამდებობებს შეიძლება ტოვებდნენ მხოლოდ საფუძვლისა და მტკიცებულების შედეგად და არა – პოლიტიკური სურვილების გამო, – განაცხადა თამარ ჟვანიამ.

# რესპუბლიკურში ხალხს ასტრაზენეკათი აცრაზე უარი უთხრეს

გუშინ, 21 ივნისს, ხმაური და დაპირისპირება იყო რესპუბლიკურ საავადმყოფოში – კლინიკა ვაქცინის გარეშე იყო დარჩენილი, ამიტომაც ასაცრელად მისული მოქალაქეები სახლებში გააბრუნეს.

– 10 წუთით ადრე მივიღე შეტყობინება, რომ აცრაზე უნდა მივსულიყავი. მოვედი დროულად და მითხრეს, რომ არის შეფერხება. მიზეზი არ დასახელებულა. შეიკრიბა დიდი რაოდენობის ხალხი, რომელსაც უთხრეს, რომ არის შეფერხება, მენეჯერმა გვითხრა, რომ ასტრაზენეკა არის ქვეყანაში, მაგრამ კლინიკას არ აქვს, – თქვა ასაცრელად მისულმა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში არსებულ ვითარებას ჯანდაცვის სამინისტროში გამოეხმაურნენ. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თქმით, კლინიკაში ვაქცინა იყო, თუმცა – არასაკმარისი რაოდენობით. ამიტომ უწყება პრობლემის აღმოფხვრისთვის რამდენიმე საათს ითხოვს.

– ბოდიში მინდა მოვუხადო ყველა ადამიანს, ვინც რესპუბლიკურში მივიდა და გარკვეული დეფიციტი დახვდა. ეს იყო ლოჯისტიკის პრობლემა და ვაქცინის მოწოდების პრობლემაც. შესაბამისად, მოვახდინეთ ვაქცინის ნაშთების მობილიზაცია, ყველა ადამიანი დაკმაყოფილდება, – განაცხადა დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ.

ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ ბოდიში მოუხადა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც ასტრაზენეკათი ვაქცინაციის დროულად ჩატარება ვერ შეძლო.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ამჟამად პრობლემა აღმოფხვრილია.

– რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მიმართებით ეს პირველი შემთხვევა იყო. პირველ რიგში, ბოდიშს ვუხდი იმ საზოგადოებას, რომელიც კეთილსინდისიერად მივიდა ვაქცინაზე და ვერ მოხერხდა მათი ვაქცინაცია. მქონდა კომუნიკაცია ჩემს უწყებასთან და, შესაბამისად, ამ მომენტისთვის ხარვეზი აღმოფხვრილია. ჩვენ დამატებით გვაქვს თათბირი, რომლის ფარგლებშიც განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება გადავაზღვიოთ მსგავსი ფაქტები, რომლებიც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, რუსთავშიც იყო, – განაცხადა ტიკარაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მსახიობებს თუ ღირსება აქვთ, „პაკლონზე“ რომ გამოვლენ, თქვან: „რუსეთი ოკუპანტია“

## გია ბუღაძე: „სტურუა პროვოკატორია... მოსკოვში გასტროლები ქვეყანას აზიანებს“

იაგო ნაცვლიშვილი

რუსთაველის თეატრის დასი რეჟისორ რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით მოსკოვში გასტროლებზე მიემგზავრება. სახელმწიფო თეატრი ჩეხოვის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას, სპექტაკლები 30 ივნისს, 1 და 2 ივლისს გაიმართება. ამ გადაწყვეტილებას საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. თავად სტურუა კი კრიტიკოსებს თავს აქეთ ესხმის და ქვეყნის გაყიდვას სდებს ბრალად:

„საქართველო გაყიდეთ! დავითგარეჯი, აფხაზეთი, გალი, სამაჩაბლო – და ახლა რუსთაველის თეატრს უჩმახებთ; რატომ გპატიჟებენ რუსეთში ჩეხოვის ფესტივალზეო? – წერს რობერტ სტურუა.

რამდენად სწორია რუსთაველის თეატრის გადაწყვეტილება და უნდა გაიმიჯნოს თუ არა პოლიტიკა და კულტურა ერთმანეთისგან? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მხატვარი **გია ბუღაძე** საუბრობს.

***– რუსთაველის თეატრის დასის მოსკოვში გასტროლებზე წასვლასთან დაკავშირებით დიდი დისკუსიაა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი ოკუპანტია და იქ არ უნდა ჩავიდეთ, მეორენი თვლიან, რომ რუსეთთან გვაქვს კულტურული ურთიერთობები და პოლიტიკა და კულტურა გამიჯნული უნდა იყოს. თქვენი აზრი საით იხრება?***

– კერძო ვიზიტით ადამიანი შეიძლება წავიდეს, თავად გადაწყვიტოა და თავად დააფინანსოს თავისი ვიზიტი, მაგრამ, როდესაც ჩვენი, მოქალაქეთა დაფინანსებით არსებობს დასი და სახელმწიფოს დასი როდესაც მიდის, ეს ელემენტარულად არის არასახელმწიფოებრივი აზრის არაჩვეულებრივი გამოხატულება და კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ ჩვენ სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდით, ჩვენ ვართ უცნაური გაერთიანება, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია. ნახევრად კიდევ ფეოდალიზმისა თუ რაღაცა ასეთი ტიპის მმართველობის შედეგია. იქ ამ ხალხის წასვლა ჩემთვის არის პირდაპირი გაგებით კოლაბორაციონიზმი და ქვეყნის ინტერესების დაზიანება.

კერძო რომ იყოს, კი ბატონო, წავიდეს. ხომ არის ერთი ადამიანის თეატრი. შეუძლია, მას წავიდეს, ხომ აქვთ რაღაც კონტაქტები.

***– მაგრამ, კერძოც რომ იყოს და ასეთი ადამიანები, რომლებსაც გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, რამდენად მორალურია, რომ წავიდნენ ასეთი ტიპის ღონისძიებებზე?***

– კატეგორიულად ვამბობ, რომ ძალიან ცუდია. სწორედ ეგ არის არასახელმწიფოებრიობის ძალიან ცუდი ნიშანი. რობიკო სტურუა არც შტერია და არც სულელი, ძალიან ჭკვიანი, ცინიკოსი ადამიანია. მე არ ვიცნობ მას და, იმედი მაქვს, რომ არც არასდროს გავიცნობ, არაფერში მჭირდება. ამიტომ, რასაც ვხედავ, როგორც იქცევა, ეს არის ჩვეულებრივი მისი თამაში, მაგრამ – კარგად გათვლილი. აქტუალობა ისეთი აღარ აქვს, როგორიც ჰქონდა 30-40 წლის წინ, როდესაც დგამდა გენიალურ სპექტაკლებს. ახლა დგამს პროვოკაციულ სპექტაკლებს, რაზეც რამდენიმე დღეა, გვალაპარაკებს. ეს არის ცინიკოსი, ძალიან ცივი გონების ადამიანი. შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის შესანიშნავად დადგმული პროვოკაცია.

***– მეორე მხრივ, ისმის კითხვა, რა უნდა ქნან მსახიობებმა, რომელთაც საკმაოდ მცირე ანაზღაურება აქვთ?***

– აურაცხელი ფესტივალია. წარმოგიდგენიათ, რომ ისრაელის დასი სპექტაკლისთვის ჩავიდეს ღაზის სექტორში?! ან სომხეთის თეატრი აზერბაიჯანში, ან უკრაინის სახელმწიფო თეატრი, მთავარი თეატრი, არ ვიცი, რომელია, ალბათ შევჩენკოს სახელობის თეატრი რუსეთში რომ ჩასულიყო. ეს წარმოუდგენელია.

***– რობერტ სტურუა ამბობს, რომ გაყიდეს ქვეყანა და ახლა რუსთაველის თეატრს „უჩმახებენ“. კრიტიკოსების მიმართ ასეთი ერთგვარი ბულინგის ფორმით თავდასხმის გზა აირჩია და როგორ გაიგეთ თქვენ?***

– საოცარი სისულელე თქვა. ესეც, რა თქმა უნდა, პროვოკაციაა. ამ კაცს ყველაფერი დადგმული აქვს და ყველაფერი იმ ნარატივშია, რაც ჰიბრიდულ ომს აწყობს. გარეჯი გაყიდესო. ვინ გაყიდა გარეჯი, საინტერესოა. დაადგინეს, რომ გარეჯი გაყიდულია?! რა უფლება აქვს, ილაპარაკოს ამ კაცმა, რომელსაც საკმაოდ დიდი განათლება აქვს. გარეჯი არავის არავისთვის მიუყიდია. თუ პროვოკატორი არ არის, რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს?! იმასაც ამბობდა, რომ „ამერიკელები ბავშვის სისხლით იკვებებიან“.

***– ამ რიტორიკით გამოირჩა თუ სულ ასეთი იყო?***

– ბოლოს გახდა ასეთი, იმიტომ, რომ ამით აქტუალური ხდება. მასზე ბუმი იყო წლების წინ. მე ახალგაზრდა ვიყავი მაშინ და არც ერთი მისი სპექტაკლი არ გამიცდენია. ყველა მახსოვს. იყო ასეთი სპექტაკლი, „ყვარყვარე“, რომელიც სამჯერ თუ ოთხჯერ ვნახე და ამის შემდეგ მოხსნეს კიდევაც. უნიკალური სპექტაკლი იყო. ასევე არაჩვეულებრივი სპექტაკლი იყო „ღალატი“, საქართველოს ისტორიის შესახებ. შემდგომ, რაღა თქმა უნდა, კულმინაცია იყო „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდთან“ ერთად. მისი აქტუალობა წარმოუდგენლად მაღალი იყო. ეს არის პატივმოყვარე და ყურადღების მოყვარე ადამიანი, რომელსაც ცინიკური და მენეჯერული მონაცემები გააჩნია. ახლა ხედავს, რომ მისი აქტუალობა კვდება. ხედავს, რომ ვერც ერთი სპექტაკლი ვეღარ დადგა, რომელსაც რეზონანსი მოჰყვა. რა სპექტაკლები უნდა დადგას?! ეს სპექტაკლებია და დგამს ამას. მე ამას ვუთვლი პროვოკაციულ პერფორმანსად. ოღონდ ძალიან საშიშ თემატიკაზე აკეთებს. შესაძლოა, გაცნობიერებულიც არ აქვს, რომ ეს თემა ძალიან მძიმედ დასრულდება. მისთვის არა, ის ხანდაზმული ადამიანია და დასაკარგი ბევრი არაფერი აქვს, მაგრამ, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნისთვის დასრულდეს ძალიან მძიმედ. ძალიან საშიშ თამაშს თამაშობს. ეს ის თამაშია, რომელიც რეალურად ჰიბრიდული ომის წისქვილზე ასხამს წყალს. ეს ძალიან ცუდია.

მსახიობებს რაც შეეხება, მათი ინტელექტუალური მონაცემების შესახებ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. დიდი წარმოდგენის არც არასდროს ვყოფილვარ ჩვენი მსახიობების ინტელექტზე. მათ მონურ მორჩილებას არ აქვს საზღვარი. როდესაც ხელოვანი თავისუფალი არ არის, ის ხელოვანი არ არის. ხელოვნება ვლინდება თავისუფალ არჩევანში.

***– არ თვლით, რომ არა მხოლოდ რუსთაველის თეატრის მსახიობებმა, არამედ ზოგადად მსახიობებმა და თეატრალურმა საზოგადოებამ უნდა გამოხატოს პოზიცია?***

– უკვე დააფიქსირეს. თითქმის არც ერთი მსახიობის თუნდაც გადატრიალებული რეპლიკაც კი არ მომისმენია. მსახიობების უმეტესობა მონურად ემორჩილება რეჟისორს. მით უმეტეს რობიკო სტურუა მათთვის არის მიუღწეველი ოცნება. მამა ღმერთის არ ეშინიათ ისე, როგორც სტურუასი. ეს არის მსახიობების გენეტიკური კომპლექსი. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ამის არანაირი სურვილი არ მაქვს – მე ვარ ჩემი თავის დასიც, რეჟისორიც,



„მსახიობები სტურუას მონურად ემორჩილებიან...“

გამნათებელიც და მსახიობიც. ამიტომ ვართ მხატვრები თავისუფლები. სტურუა დაუნდობელი ცინიკოსია და ყველაფერს გააკეთებინებს ამ ადამიანებს და აკეთებინებს კიდეც. ესენი არიან ბედნიერები – რობიკომ შეგვამჩნია, რობიკომ როლი მოგვცა...

აბა, თუ ვაჟკაცობა ჰყოფნით, გამოვიდეს, ხუჭუჭთმიანი პატარა ბიჭი რომ იყო და ახლა ჭაღარა შეჰპარვია, სპექტაკლი რომ დასრულდება და „პაკლონზე“ რომ გამოვა, თქვას, რომ რუსეთი ოკუპანტია და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოა. თუ რუსული არ იცის, თუნდაც ქართულად თქვას. მაშინ გამართლებულად ჩავთვლი.

***– გოგა ბარბაქაძეს გულისხმობთ?***

– დიახ. ამ შემთხვევაში მაგ ხუჭუჭა ბიჭს ვგულისხმობ. მოვკარი ყური მის განცხადებებს. გამოვიდეს, რომ დასრულდება სპექტაკლი და ეგ გააკეთოს რომელიმემ, მაგრამ მაგის თავი არ აქვთ. გოგა ბარბაქაძე ამბობს, 2008 წელს რუსეთის შემოჭრას ვაპროტესტებდით და საპირისპიროს ვაწერდით ხელსო. რის უნდა შეეშინდეს?! გამოვიდეს და თქვას: „რასია ოკუპანტ“, „აბხაზია ი ცხინვალსკი რეგიონ – ეტა გრუზია“. ეს რამდენიმე რუსული სიტყვა დაიზეპიროს და თქვას.

სპორტსმენი რომ გამოდის იქ, ბოლოში ქართულ დროშას აფრიალებენ. თუმცა, იმისიც ბოლომდე არ მჯერა და არ მომწონს, მაგრამ, აი, ეს გააკეთოს. მერე დავიჯერებ, რომ გოგა პატრიოტია და ღირსება გააჩნია.

# „ოცნება“ 2024 წლამდე ვერ მიატანს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულ ოცნებას“ ახლავე ურჩევნია, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, რადგან ოპოზიცია ისევ სუსტია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმა ირაკლი კობახიძემ და შალვა პაპუაშვილმა ოპოზიციას ცესკოს თავმჯდომარისთვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. როგორ ფიქრობთ, წარსულს ჩაჰბარდა საუბარი არჩევნების გაყალბებაზე?***

– რა თქმა უნდა, არა. სიმართლე გითხრათ, უცნაურია მათი განცხადება, რადგან საპარლამენტო კომისიაში, რომელმაც უნდა დაადგინოს, არჩევნები გაყალბდა თუ არა, თვითონაც მონაწილეობენ და ამ კომისიას ჯერ მუშაობა არ დაუსრულებია. წინასწარ რა იციან, რომ ოპოზიციას ბოდიში ექნება მოსახდელი. ლოგიკური იქნებოდა, თუ კომისია დასკვნას დადებდა და მერე გაკეთდებოდა ასეთი განცხადება. ამიტომ ეს განცხადება, ბუნებრივია, პიარის ნაწილია. ჯერ რაც ვიცით, ის არის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ გვითხრა, არჩევნები ლეგიტიმაციის ზღვარზე ჩატარდაო. ეს ნიშნავს იმას, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არა იმ მასშტაბით, რომელსაც კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა.

***– ოპოზიცია შევიდა პარლამენტში და რეალობას შეეგუა. უკვე არანაირ საერთო კანდიდატზე არ არის საუბარი და თითქოს საერთო წერტილებიც დაკარგეს. გადაჭარბებულია ეს აღქმა?***

– საერთო წერტილები რომ არ აქვთ, ეს გასაგებია. ოპოზიციამ გვიან შეაფასა და გვიან მიხვდა არსებულ რეალობას. როგორც იქნა, მიხვდა, რომ რიგგარეშე არჩევნები მათ კი არა, ნაციონალური მოძრაობისა და შეიძლება „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს.

რიგგარეშე არჩევნები თუ ჩატარდა, დღევანდელი ოპოზიცია გაცილებით ნაკლებ ხმას მიიღებს, ვიდრე მათ მიიღეს გასულ საპარლამენტო არჩევნებზე. აქამდე ოპოზიციამ შეგნებულად თუ შეუგნებლად ნაციონალური მოძრაობის თამაში ითამაშა.



***– რატომ აწყობთ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ ვადამდელი არჩევნები?***

– ერთი, ისევ ხდება ე.წ. შუის გაკრეფა, რაც ხელს აძლევს მხოლოდ ამ ორ ძალას. ბოლოს და ბოლოს, ნაციონალებს იმედი აქვთ, რომ თუ მეორე პოზიციას შეინარჩუნებენ, ამომრჩეველი მათ წარსულს დაივიწყებს და, ამ არჩევნებზე თუ არა, მომავალ არჩევნებზე იქნებ ძალაუფლება დაიბრუნონ კიდეც და ჩაანაცვლონ „ქართული ოცნება“.



რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მას ახლავე ურჩევნია, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, როდესაც ოპოზიცია ისევ სუსტია. ნაციონალური მოძრაობა არის ისეთი, როგორიც არის. ოპოზიცია ამას ვერ ხვდება, ან ახლა ხვდება, თუ ხვალ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება, ეს მათთვის არ იქნება მომგებიანი, პირიქით, წამგებიანი იქნება, თუმცა ხმამაღლა ვერ ამბობენ.

***– თუ რიგგარეშე არჩევნები არ არის ოპოზიციის ამოცანა და ამას მიხვდა, შეიძლება, საერთო კანდიდატებზე არც იყოს საუბარი?***

– დიახ. ოპოზიციის ერთიან კანდიდატზე საუბარი არ იქნება. ამიტომ ის შეხების წერტილები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, აღარ იქნება. ოპოზიცია ალბათ უფრო გრძელვადიანი სტრატეგიისთვის უნდა მოემზადოს, უნდა გაძლიერდეს და უნდა ჩამოყალიბდეს. ამავე დროს, თუ საარჩევნო ბარიერის დაწევას მიაღწევენ, თუ ამაში ნაციონალურ მოძრაობას დაითანხმებენ, მაშინ მთლად უკეთესი მათთვის.

***– ოპოზიცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადება? მაგ დროისთვის ეცდება გაძლიერებას?***

– დიახ, რა თქმა უნდა, თუ გაუთვალისწინებელი სოციალური ან პოლიტიკური ფაქტორები არ მოხდება, უეცრად არ აფეთქდება პროცესი და „ოცნება“ იძულებული არ გახდება, თავად დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

***– თქვენ როგორ გაიგეთ გახარიას განცხადება, როდესაც თქვა, ყველა შემთხვევაში მოუწევს „ქართულ ოცნებას“ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, რადგან ლეგიტიმაციის პრობლემა დაუდგებაო?***

– სიმართლე გითხრათ, ცოტა უცნაური განცხადება იყო.

***– კობახიძემ თქვა, რომ ლეგიტიმაციის ერთადერთი წყარო არჩევნებია.***

– დიახ. „ქართულ ოცნებას“ ლეგიტიმაციის პრობლემა არ აქვს. ხელისუფლებას სხვა პრობლემები აქვს. სწორედ ამ პრობლემებზე ვსაუბრობდი, როდესაც შესაძლო რიგგარეშე არჩევნების დანიშვნაზე მოგახსენეთ, რომელიც შეიძლება სწორედ თავად ხელისუფლებას მოუწიოს. ძალიან დიდი სპექტრია იმ პრობლემების, რომელთა გამოც შეიძლება ხელისუფლებას ამ ნაბიჯის გადადგმა დასჭირდეს, რადგან ვერ ვხედავ იმ რესურსს, რომ ამ პრობლემებს გაუმკლავდეს. ამიტომ ვამბობ, რომ შეიძლება ხელისუფლებამ 2024 წლამდე ვერ მიატანოს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ თავად „ქართული ოცნება“ გაიხლიჩოს, საპარლამენტო უმრავლესობა დაკარგოს და მთავრობის დამტკიცებისა თუ ფორმირების პრობლემა შეიქმნას.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# „რუსეთმა შემოიყვანა გახარია, რომელიც განაწყენებულ ქოცებსა და ვასაძეს იკრებს“

## შოთა მალაშხია: „თუ პარლამენტში შეხვედი, მაშინ ე.წ. მიშელის შეთანხმებასაც უნდა დაეთანხმო“

მარიამ მჭედლიშვილი

**პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას.**



***– პარლამენტში შესული ნაციონალური მოძრაობა, გავრცელებული ინფორმაციით, კიდევ ერთ დათმობაზე წავა და ე.წ. მიშელის დოკუმენტსაც ხელს მოაწერს. როგორ აფასებთ ამ მოვლენას?***

– ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ამ დოკუმენტს ხელს არ მოაწერენ. ჩემი აზრით, მთავარი პარლამენტში არშესვლა იყო. ისინი, ჩემი მოსაზრებით, ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ უნდა შესულიყვნენ პარლამენტში. ასე არ მოხდა. მთავარი ბოიკოტი იყო, თორემ, თუ პარლამენტში შეხვედი, მაშინ ე.წ. მიშელის შეთანხმებასაც უნდა დაეთანხმო და ხელი მოაწერო. სხვანაირად, მეორე მხარე მოგედავება, გეტყვის, რომ არაფრის მოთხოვნის უფლება არ გაქვს, იმიტომ, რომ ამ დოკუმენტს არ იღებ.

***– დიდი ალბათობით, ნიკა მელია უარს იტყვის, კენჭი იყაროს თბილისის მერად. ოპოზიციაში უთანხმოებაც არის. რას ელით?***

– ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ. პირველ რიგში, უნდა გავიაზროთ, სად ვართ, სად მივდივართ და რას ვთავაზობთ საზოგადოებას. ხალხი უარესად გაღარიბდა და გაღატაკდა. ეკონომიკა დაქცეულია. ვიმყოფებით კორუფციის მორევში. გაზრდილია კრიმინალი. დარღვეული გვაქვს ტერიტორიული მთლიანობა. იმისთვის, რომ რაღაც შეიცვალოს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საკმარისი არ არის. გვჭირდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

***– რომელიც გაიმართება, თუ „ოცნება“ ვერ აიღებს პარტიული ხმების 43%-ს.***

– დიახ. ხალხს იმედი უნდა მისცე, რომ ჭაობიდან გამოიყვან. ჯანსაღი ოპოზიციის ფლაგმანებმა საზოგადოებას ჭაობიდან გამოსვლა უნდა შესთავაზონ და ადგილობრივ არჩევნებზე ამ გეგმის მიხედვით იმოქმედონ. თუ ხალხს რეალურად ჰპირდები გამოსავალსა და ცვლილებებს, საზოგადოებაც და პოლიტიკური სპექტრიც გვერდში დაგიდგება. მაშინ შეგიძლია შეათანხმო მერების კანდიდატურებიც და მოემზადო საკრებულოების გადარჩევისათვის. ამ შემთხვევაში ადამიანები დაინტერესდებიან, ვინ იქნებიან ოპოზიციის კანდიდატები. თუ ხალხი დაინახავს, რომ რეალურ დაპირებებს იძლევი და თავდაუზოგავად შრომობ, გვერდში დაგიდგება.

***– ამ ეტაპზე ამგვარი შეთავაზებები არ ჩანს?***

– ჯერ არ ჩანს. ამასთან, რუსეთი ხედავს, რომ ივანიშვილის „ოცნებაზე“ დაყრდნობა შეუძლებელია. ახლანდელმა მმართველებმა გადმოიღეს რუსული მანკიერებები და საბჭოთა საშინელი ტრადიციები. ახლანდელი საქართველო საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლების გამეორებაა კორუფციის მასშტაბებით, ხელისუფლებასთან შეზრდილი კრიმინალით, არადემოკრატიულობით. რუსეთი მხოლოდ ივანიშვილის გაკოტრებულ „ქართულ ოცნებაზე“ ვერ დებს ფსონს. ამიტომ მან შემოიყვანა გახარია, რომელიც იკრებს განაწყენებულ ქოცებსა და ვასაძეს, რომელიც გადის ინაშვილის ხმებზე.

***– რუსეთის საქმეს საქართველოში ფსევდოდასავლური პარტიებიც აკეთებენ.***

– ცხადია. გავაგრძელებ საუბარს პრორუსულ ფრთაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „ოცნება“ 43%-ს ვერ მიიღებს. „ოცნება“, ასევე გახარიასა და ვასაძის პარტიები, ერთადაც ვერ აიღებენ 43%-ს. ამიტომ მეორე მხარეს, მათ წინააღმდეგ, უნდა იყოს ძლიერი გაერთიანება სერიოზული რეალისტური დაპირებებით.

***– ახალი დაპირებები „ქართულმა ოცნებამაც“ გასცა. ამ დღეებში მან წარმოადგინა ქვეყნის განვითარების 10-წლიანი გეგმა. „ოცნებაში“ აცხადებენ, რომ განვითარების დინამიკა ევროკავშირის წევრობის ღირსს გაგვხდის.***

## „არჩევნების გაყალბების დავიწყება არათანმიმდევრულობას ნიშნავს“

– გეგმა კი არა, ანეკდოტია. 9 წელიწადია, ხელისუფლებაში არიან და ვინ უშლიდათ ქვეყნის დინამიკურად განვითარებას?! ეკონომიკა ჩამოაქციეს. განსაკუთრებით, ეკონომიკას დედა ეტირა გახარიას დროს. პანდემიაც იყო, მაგრამ მთავრობაც ხომ არასწორად იქცეოდა?! ისინი, ვინც შარშან გახარიას საუკეთესო კრიზისმენეჯერად წარმოსახავდნენ, დღეს მკაცრად აკრიტიკებენ. ისინიც აღიარებენ, რომ გახარიამ ვერც მენეჯერად ივარგა და ვერც შს მინისტრად, რომელიც სპეცოპერაციებს ცუდად ატარებდა. მას კორუფციასაც სდებენ ბრალად. ბიძინა ივანიშვილის ძველი დაპირება რომ შესრულებულიყო, პირველ წელს უკეთესად უნდა გვეცხოვრა, მეორე წელს – კარგად, მესამე წელს – უფრო კარგად და მეოთხე წელს – საუკეთესოდ.

ივანიშვილმა ისიც თქვა, რომ ჩვენი დემოკრატიით ევროპას გააკვირვებს. 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებით მართლაც გააოცა მსოფლიო. საერთაშორისო დამკვირვებლებმა და უცხოელმა პოლიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ეს იყო ყველაზე ცუდი არჩევნები.

***– რატომღაც გაყალბების თემა დაივიწყეს სხვა ოპოზიციონერებმა. იმავდროულად, პარლამენტში მუშაობს შესაბამისი საგამოძიებო კომისია.***

– არჩევნების გაყალბების დავიწყება არათანმიმდევრულობას ნიშნავს. როცა ივიწყებ, რასაც ცოტა ხნის წინ მოითხოვდი, ამას ხალხი ყოველთვის ამჩნევს. არათანმიმდევრულობა და უპრინციპობა საზოგადოებას არ გამოეპარება. პრინციპულობა ყოველთვის იგებს. ამ საგამოძიებო კომისიისა მაინცდამაინც არ მჯერა. პირადად მე გაყალბების თემა არათუ არ დამვიწყებია, არამედ, ამაზე ფილმსაც ვიღებ.

***– იღებთ დოკუმენტურ ფილმს 2020 წლის 31 წლის საპარლამენტო არჩევნებზე?***

– დიახ. წესად მაქვს საქმის ბოლომდე მიყვანა და ამასაც ბოლომდე მივიყვან.

***– უახლოეს თვეებში რა პროგნოზი გაქვთ, როგორ განვითარდება მოვლენები ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში?***

– პოლიტიკური ველი, პრაქტიკულად, მკვდარია. ის უნდა გაცოცხლდეს. ამისათვის საჭიროა სწორი სტრატეგია და ტაქტიკური მოქმედებები.

***– საზოგადოების ჭაობიდან გამოყვანის გეგმა წეღანაც ახსენეთ.***

– ამის გარდა, ხალხს უნდა წარედგინოს ხედვები სხვადასხვა სფეროში – ეკონომიკა, ტერიტორიული მთლიანობა, ენერგოუსაფრთხოება, დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ეკლესიის მიმართ, ლგბტ-საკითხები და სხვა. ტერიტორიული მთლიანობის თემა საერთოდ დაკარგულია. პარლამენტში თუ არსებობს შესაბამისი კომისია, რას აკეთებს? სუფრასთან მაინც თუ ლაპარაკობს ამ პრობლემაზე?! რატომ ვართ გამქრალი რადარებიდან? ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბალტიისპირელები ლაპარაკობენ, ნატოში შესვლაზე კი – ამერიკელები. ჩვენ სად ვართ?! რატომ არ ვცდილობთ ამ პრობლემებზე თანამშრომლობას უკრაინასთან და მოლდოვასთან? ამაზე უნდა ვიმუშაოთ კოორდინაციით ევროკავშირთან და აშშ-სთან. კორუფციაზეც უნდა ვილაპარაკოთ. უნდა დავგეგმოთ, როგორ მოვერევით კორუფციას, როგორ გავაძლიერებთ ჯარსა და პოლიციას, როგორ გავზრდით ხელფასებს ამ სექტორში, ასევე – პენსიებს. ვფიქრობ, რომ ასეთი სტრატეგიის წარმოდგენა და მოქმედებები თვე-ნახევრის განმავლობაში უნდა მოხდეს.

# სულხან სალაძე: „გახარიას წინააღმდეგ შეიძლება გამოძიება დაიწყოს“

– სასამართლო სისტემაში რომ ყველაფერი ცუდად არის, ამიტომ მოხდა ეს ჩანაწერი შარლ მიშელის დოკუმენტში. არსებული „კლანისთვის“ ამ ძალაუფლების ისევ დატოვება შარლ მიშელის დოკუმენტის შეთანხმების დარღვევა იქნება.

ამის შესახებ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყოფილმა თავმჯდომარემ, იურისტმა სულხან სალაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

სალაძის შეფასებით, ის ფორმა, რომლითაც კენჭისყრა ხდება პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გასამწესებლად, არ არის სწორი და სამართლიანი.

მისივე თქმით, პარლამენტმა ეს პროცესი უნდა შეაჩეროს, რადგან სისტემა უნდა შეიცვალოს.

– ჩვენ ახლა გვაქვს უნიკალური შანსი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების გამწესების პროცესი როდესაც დაიწყება, პარლამენტმა ღირსეული კანდიდატები დანიშნოს, მაგრამ ამას პოლიტიკური ნება სჭირდება.

სასამართლო სისტემაში რომ ყველაფერი ცუდად არის, ამიტომ მოხდა ეს ჩანაწერი შარლ მიშელის დოკუმენტში. არსებული „კლანისთვის“ ამ ძალაუფლების ისევ დატოვება, ათეულობით მოსამართლის გამწესება სასამართლო სისტემაში ან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იმ პროცესების წარმართვა, რომელიც შეიძლება უახლოეს მომავალში მოხდეს, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების დამტკიცება პარლამენტის მიერ, ეს იქნება შარლ მიშელის დოკუმენტის შეთანხმების დარღვევა და არა ისე წაკითხვა, როგორც ამას „ქართული ოცნება“ გვეუბნება, – განაცხადა სალაძემ.



მისივე თქმით, სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები გამოსწორდება მაშინ, როდესაც ღირსეული დამოუკიდებელი კანდიდატები გახდებიან საბჭოს წევრები და არა ის კანდიდატები, რომლებიც „აფილირებული და დაკავშირებული იქნებიან პოლიტიკურ ჯგუფთან და „კლანთან“ სასამართლო სისტემაში“.

გარდა მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხისა, სალაძემ გადაცემაში გიორგი გახარიას მიმართ ირაკლი კობახიძის განცხადებებიც შეაფასა და აღნიშნა, რომ „მთავარი ყურადღების გადატანა ხდება იმაზე, რომ გახარია არის თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელი 20 ივნისის მოვლენებზე“.

ამასთან, სალაძე არ გამორიცხავს, რომ გახარიას მიმართ გამოძიება დაიწყოს.

– იმავე წყლის ჭავლის გამოყენებაზე კითხვები ახლა კი არ უნდა ისმოდეს, ეს კითხვები გამოძიებას უნდა ჰქონდეს შესწავლილი 20-21 ივნისის მოვლენების საქმის გამოძიების დროს. ჩვენ არავის გვინახავს, არ ვიცით და, დიდი ალბათობით, არც არავინ გამოიძიებს და შეისწავლის ამ ამნისტიის შემდეგ. ეს საქმე დაიხურება და დასრულდება თავიდან ბოლომდე.

არ გამოვრიცხავ, რომ ახალი გამოძიება დაიწყოს. გამოძიება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, რამდენად დასჭირდება „ქართულ ოცნებას“ გიორგი გახარიას გაშავება ამ თვალსაზრისით, – განაცხადა სალაძემ.

# ზაზა გახელაძის დედამ თავზე ბენზინი გადაისხა

## „რძალმა გადაარჩინა“



„ქართული ოცნების“ ხელისუფლების ცრუ დაპირებისა და 11-თვიანი ლოდინის შემდეგ ზაზა გახელაძის დედამ სუიციდი ცადა.

ნანა ბუნტურმა მას შემდეგ, რაც რაც დარწმუნდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა და მისმა მთავრობამ 33 წლის მამაკაცის დასაბრუნებლად არაფერი გააკეთა, ბენზინი გადაისხა.

– შევიდა, 5-ლიტრიანით გამოიტანა ბენზინი და გადაისხა. რძალს რომ არ დაენახა, დღეს ნანა აღარ იქნებოდა, – ამბობს გახელაძის მამა.

ორ დღეში ზაზა გახელაძის დაბადების დღეა – ოჯახი მასშტაბურ აქციასა და ე.წ. საზღვრის მიმართულებით მსვლელობას ანონსებს.

უკანონო პატიმრის მამა საოკუპაციო ხაზის გადაკვეთასა და სასჯელის შვილთან ერთად მოხდას აპირებს.

# ცოტნე გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა



ცოტნე გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა.

ექიმები ამბობენ, ახლა მას მკურნალობისა და რეაბილიტაციის ინტენსიური კურსი და ოჯახური გარემო სჭირდება.

ცოტნე გამსახურდია 2019 წლის 19 დეკემბერს საკუთარ სახლთან დაჭრეს. მას თავდაპირველად ხეჩინაშვილის კლინიკაში მკურნალობდნენ, შემდეგ კი თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ის ივლისამდე მკურნალობდა. შემდეგ მკურნალობის კურსს გერმანიაში გადიოდა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილის მკურნალობის ხანგრძლივი პროცესი ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა.

# ჟურნალისტი კობა ალხაზაშვილი გარდაიცვალა



37 წლის ასაკში ჟურნალისტი კობა ალხაზაშვილი გარდაიცვალა.

კობა ალხაზაშვილს სწრაფად პროგრესირებადი ავთვისებიანი სიმსივნე ნახევარი წლის წინ დაუდგინდა. პოსტკოვიდურ პერიოდში მას ბრონქის სიმსივნე განუვითარდა, შემდგომ მეტასტაზები თავის არეში და ფილტვებზეც გავრცელდა.

რამდენიმე დღის წინ ის სამკურნალოდ თურქეთში, სტამბოლში გაემგზავრა, თუმცა ექიმებმა ჟურნალისტის გადარჩენა ვერ შეძლეს.



# გურჯაანში აუზში 4 წლის ბავშვი დაიხრჩო

გუშინ, 21 ივნისს, უბედური შემთხვევა მოხდა კახეთში – გურჯაანში საცხოვრებელი სახლის აუზში 4 წლის ბავშვი დაიხრჩო.

არსებული ინფორმაციით, ბავშვი სახლში ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. სახლში აუზი ახალი აშენებული იყო. ბავშვი გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ის კლინიკაში მიყვანის დროს უკვე გარდაცვლილი იყო.

## ვისი ბრალია ავარია ასპინძაში, რომელმაც ნორა ქუქჩიშვილი იმსხვერპლა

2021 წლის 13 იანვარს ასპინძის რაიონში ავარია მოხდა, რომელსაც 66 წლის ქალი ემსხვერპლა.

2 შვილისა და 2 ობოლი ძმისშვილის გამზრდელი, 66 წლის ნორა ქუქჩიშვილი, სოფელ ტოლოშთან გზაზე გადადიოდა, როდესაც ავტომობილი დაეჯახა.

ქალი დაიღუპა. შემთხვევის ერთადერთი მოწმე მხოლოდ თვითონ საჭესთან მჯდომი მამაკაცი აღმოჩნდა.

შემთხვევას ის ისე აღწერს, რომ ქალის გარდაცვალებაში მთავარი დამნაშავე თავად გარდაცვლილი გამოდის. შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ რამდენად სანდოა ეჭვმიტანილის მონათხრობი? ნებისმიერი მძღოლი, რომელსაც ადამიანი შემოაკვდება, ბუნებრივია, შეეცდება საკუთარი თავის გამართლებასა და დანაშაულზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას.

ამიტომ ეჭვმიტანილის მონაყოლს საფუძვლიანი გადამოწმება სჭირდება, მაგრამ როგორ უნდა გააკეთო ეს, როდესაც არ გყავს მეტი არცერთი მოწმე? ამისთვის არსებობს საგამოძიებო ექსპერიმენტი და სწორედ ასეთი ექსპერიმენტის ჩატარებას მოითხოვს დაღუპულის ოჯახი, მაგრამ პროკურატურისგან გაუგებარ უარს იღებს.

ამ დროს ოჯახს სამართლიანი მოთხოვნა აქვს – ქალს ველარ გააცოცხლებენ, მაგრამ უნდათ, იცოდნენ: თვითონ იყო ის თუ არა უბედური შემთხვევის მიზეზი. და კიდევ – მაშინვე გარდაიცვალა თუ დროული დახმარების შემთხვევაში მისი გადარჩენა შეიძლებოდა.

## გორში მანქანამ ველოსიპედისტი გაიტანა

20 ივნისს გორში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი მძიმედ დაშავდა.

წმინდა წყლის დასახლების ტერიტორიაზე ველოსიპედით მოძრავ მამაკაცს ავტომანქანა დაეჯახა.

დაშავებული 44 წლის მამაკაცი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა კლინიკა „გორმედში" გადაიყვანა. „გორმედის" ინფორმაციით, დაშავებული კლინიკაში პოლიტრავმით შეიყვანეს. პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. იგი მოთავსებულია რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც, გადაუდებელი კვლევების პარალელურად, რეანიმაციული ღონისძიებები უტარდება. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

მომხდარ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

## ვიქტორია სექიურითის თანამშრომელმა 43 წლის ზ.თ. ცემა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ძალადობის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ამავე დანაშაულისთვის ნასამართლევი თ.კ. თბილისში დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „ვიქტორია სექიურითის" თანამშრომელმა თ.კ.-მ მიმდინარე წლის 17 ივნისს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1977 წელს დაბადებულ ზ.თ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

## ჩუმლაყში ნისანს ოპელი დაეჯახა

ორი ადამიანი დაშავდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჩუმლაყში. ცენტრალურ მაგისტრალზე ერთმანეთს ნისანისა და ოპელის მარკის ავტომობილები შეეჯახა.

შემთხვევა გუშინ, 21 ივნისს, დილით მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მიზეზი, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარე გახდა. დაშავებულები სასწრაფომ გურჯაანის ჯეო ჰოსპიტალსში გადაიყვანა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

## ირანელი ბიზნესმენი ფურია ნაიები ირაკლი ღარიბაშვილს უჩივის



სკანდალი, რომლის გამოც მეორედ დაბრუნებულ პრემიერს შესაძლოა თანამდებობის დატოვება მოუწიოს – ირაკლი ღარიბაშვილს ირანელი ბიზნესმენი, რომელსაც ქართული მართლმსაჯულება დაუსწრებლად ასამართლებს, ბიზნესის წართმევასა და რეკეტში ადანაშაულებს.

ფურია ნაიები მთავარ არხს დაუკავშირდა და მოუყვა, რომ მოქმედი პრემიერის სამეგობრო მას ემუქრებოდა, საბოლოოდ კი ინვესტმენტ ბანკს სრულად ჩამოაშორა.

ირკვევა, რომ ლაშა ჩხენკელი, აკაკი ჩხენკელი და მინდია ჯანელიძე ღარიბაშვილის დავალებებს ასრულებდნენ, საბოლოოდ კი ირანელ ბიზნესმენს აიძულეს, რომ საქართველო დაეტოვებინა.

ფურია ნაიების თქმით, წლების წინ მას სწორედ ღარიბაშვილის გარემოცვამ დაათმობინა ბიზნესები, მისი „დამუშავება" კი მოდულის შენობაში რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ბიზნესმენი ამტკიცებს, რომ ფული, რომლის გათეთრებასაც ედავებიან, საქართველოში შემოდიოდა ლეგალური წყაროებით, ლეგალური ბიზნესისთვის. არალეგალური და დანაშაულებრივი კი იყო ის, რა მეთოდებითაც მას ღარიბაშვილის სამეგობრო აყაჩაღებდა.

„ქართული ოცნება" მათი ხელისუფლების პირობებში ბიზნესის რეკეტს უარყოფს და მთავარ არხს ბიზნესასოციაციებთან ამისამართებს იმისთვის, რომ გავიგოთ, რეალურად რა მდგომარეობაში ქვეყანაში ბიზნესი.

ოპოზიცია კი იმ პერიოდს იხსენებს, როდესაც ღარიბაშვილის პირველად იკავებდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას და ამბობენ, რომ მაშინ პოსტიდან სწორედ მსგავსი ბრალდებებისა და კორუფციული სკანდალების გამო გაუშვეს.

## „ბადრი ჩემთვის მკვდარია. მისი არაფერი მაინტერესებს"

### რას ამბობს ბადრი ესებუას მამა

ზუგდიდში „საქართველოს ბანკის" დაყაჩაღებაში ბრალდებულ ბადრი ესებუას მამა ამბობს, რომ ის მისთვის მკვდარია. ტარიელ ესებუას თქმით, მეორე შვილის ამბავი აინტერესებს, რომელიც უდანაშაულოა და ციხეში ზის.



– სულ ტელევიზორს ვუყურებ, რომ არაფერი გამომრჩეს. 8 თვეა, ბადრის არაფერი ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი. ის ჩემთვის მკვდარია, ჩემი შვილია, მაგრამ მისი არაფერი მაინტერესებს. მე მეორე შვილის ამბავი მაინტერესებს, უდანაშაულო კაცი ზის ციხეში... ახლა რა აუტანელი მდგომარეობაცაა ჩემს ოჯახში, მტერს არ ვუსურვებ – ორივე შვილი დამეღუპა, მშობლები გავნადგურდით... ბადრისთან არც არაფერი მაქვს სათქმელი. ჩაიდინა თუ არა ის დანაშაული, დღეს მის გამო მისი ძმა ციხეშია და ჩვენ ცოცხლად დაგვმარხა. მორჩა, ის ჩემთვის მკვდარია! – ამბობს „კვირის პალიტრასთან" ტარიელ ესებუა.

ტარიელ ესებუა ამბობს, რომ ძებნილ ბადრი ესებუაზე არაფერი იცის და წარმოდგენა არ აქვს, სად შეიძლება იყოს. მისივე ინფორმაციით, ბიძინა ესებუა ციხეში პროტესტის ნიშნად შიმშილობს.

– ვერაფრით დავეხმარე ჩემს უდანაშაულო შვილს. ის მძევალია, ბადრის გამო აიყვანეს და ეწამება. იმ თვეში დამთავრდება ბიძინას ამბავი და ვნახოთ, რა იქნება, რასაც მოისურვებენ, იმას უზამენ. ჩემი თავი სულ არ მადარდებს, ერთი დღე არ ვიცოცხლებდი ამ მდგომარეობაში, ბიძინას პატარები რომ არა, ხვალვე მოვიკლავდი თავს, – ამბობს ტარიელ ესებუა.

პოლიცია 8 თვეზე მეტია, ბადრი ესებუას ეძებს. თავდასხმა ზუგდიდში „საქართველოს ბანკის" ფილიალზე 21 ოქტომბერს მოხდა. შეიარაღებული ესებუა ბანკში შეიჭრა, მძევლები აიყვანა, წამოაყენა საკუთარი მოთხოვნები და რამდენიმესაათიანი სპეცოპერაციის შემდეგ, ოფიციალური ინფორმაციით, ნახევარი მილიონი ლარი წაიღო და მიიმალა.

## გიორგი მენაბდე პატიმრობაში რჩება



დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებული გიორგი მენაბდე კვლავ პატიმრობაში რჩება. აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ, 21 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ალექსანდრე იაშვილმა მიიღო.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების დასაშვებობაზეც იმსჯელეს. მოსამართლემ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დასაშვებად ცნო. ამასთან, გადაისინჯა დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა.

სხდომას დისტანციურად ესწრებოდა ბრალდებული.

პროცესზე პროკურატურა დაკავებულის კვლავ პატიმრობაში დატოვებას, დაცვის მხარე მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა.

პროცესზე ბრალდებულს ასევე შესთავაზეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვა, თუმცა, მენაბდემ აღნიშნულზე უარი განაცხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დავით სარალიძის მკვლელობის ფაქტზე გიორგი მენაბდე 15 აპრილს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულმა გიორგი მენაბდემ გიორგი ჯანაშიასთან და მიხეილ კალანდიასთან ერთად, ჯგუფურად, თან ნაქონი ბასრი საგნით, მოკვლის განზრახვით, არასრულწლოვან დავით სარალიძეს დაზიანებები მიაყენა.

2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ორი მოზარდის, დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, მსჯავრდებულები იყვნენ გიორგი ჯანაშია, გუგა ბარბაქაძე და მიხეილ კალანდია. აღსანიშნავია, რომ დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებულმა გიორგი ჯანაშიამ პენიტენციარული დაწესებულება უკვე დატოვა. ის ე.წ. უდოს კომისიამ გაათავისუფლა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

რაც შეეხება მიხეილ კალანდიას, მას სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ პატიმრობა 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს მისჯილი.

## მთაწმინდაზე 2 ახალგაზრდა დაჭრეს

გუშინ, 21 ივნისს, მთაწმინდაზე 2 მამაკაცის დაჭრის ფაქტზე პოლიციამ 1 პირი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული თ.მ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 21 ივნისს, თბილისში, კოტე მესხის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ასევე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ნაცნობები – 2001 წელს დაბადებული მ.მ. და 2001 წელს დაბადებული გ.ო. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.



დაჭრილი მამაკაცები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მათ შესაბამისი დახმარება გაეწიათ. ერთ-ერთი დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს".

## ბოლნისში მკვლელობის საქმის გამოძიების ფარგლებში პოლიციამ 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქალაქ ბოლნისში მიმდინარე წლის 19 ივნისს მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების ფარგლებში, 1991 წელს დაბადებული ი.ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბოლნისში მომხდარი დაპირისპირებისას, რა დროსაც 1 პირი სასიკვდილოდ დაიჭრა, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ი.ჩ.-ც, რომელსაც თან ჰქონდა სამართალდამცველების მიერ ამოღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

## ქუთაისში 21 წლის ფეხმძიმე სოფო კვარაცხელია გარდაიცვალა

ქუთაისში 21 წლის ქალი გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, სოფო კვარაცხელია 20 ივნისს მძიმე ტკივილებით საავადმყოფოში სახლიდან გადაიყვანეს. კლინიკაში შეყვანისას შოკურ მდგომარეობაში იყო. მას საკეისრო კვეთა ჩაუტარდა და ექიმებმა ჩვილის გადარჩენა მოახერხეს. ოპერაცია კლინიკა „ბომონდში" ჩატარდა.

მომხდართან დაკავშირებით „კლინიკა ბომონდი" განცხადებას ავრცელებს.

„პირველ რიგში, გვინდა, გამოვხატოთ ჩვენი ღრმა მწუხარება და მივუსამძიმროთ გარდაცვლილის ოჯახს. ასევე, გვსურს გამოვეხმაუროთ სოციალური ქსელის სხვადასხვა გვერდის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ „კლინიკა ბომონდში" შემოყვანილი 21 წლის გოგონა მშობიარობას გადაჰყვა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. პაციენტი კლინიკაში მიმდინარე წლის 20 ივნისს, მეუღლის მიერ, მოყვანილ იქნა მძიმე მდგომარეობაში. მას ჩაუტარდა გადაუდებელი საკეისრო კვეთა. ახალშობილი გადაყვანილია კლინიკის ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. ყველა ჩატარებული სამედიცინო ღონისძიების მიუხედავად, თანმხლები დაავადების გამო, მელოგინის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. „კლინიკა ბომონდი" თანამშრომლობს გამოძიებასთან. კლინიკა მოუწოდებს საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებს, დაელოდონ გამოძიების დასრულებასა და საქმეზე ობიექტური გარემოებების დადგენას", – აცხადებენ „კლინიკა ბომონდში".

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილ გოგოს წარსულში გადაადგილების პრობლემა ჰქონდა. მას ოპერაცია ჩაუტარდა და სიარული შეძლო. გავრცელებული ინფორმაციით, მისი ორსულობა რისკებთან იყო დაკავშირებული.

ოჯახს ამ დროისთვის მომხდარ ფაქტზე საუბარი არ სურს.

# სომხეთში ფაშინიანის პარტია 53,92%-ით ლიდერობს

## ბლოკი „სომხეთი“ შედეგებს არ აღიარებს



სომხეთის ცენტრალურმა კომისიამ ხმების დათვლის პროცედურა 2008-ვე საარჩევნო უბანზე დაასრულა. არჩევნებში ნიკოლ ფაშინიანის პარტია, „სამოქალაქო შეთანხმება“, ამომრჩეველთა ხმების 53.92%-ით ლიდერობს. მეორე ადგილზეა ყოფილი პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის საარჩევნო ბლოკი „სომხეთი“, 21.04%-ით. მესამე ადგილს იკავებს საარჩევნო ბლოკი „მაქვს პატივი“, რომელმაც, წინასწარი მონაცემებით, ხმების 5.23% მოიპოვა. გაგიკ ცარუკიანის ბლოკმა „აყვავებულმა სომხეთმა“ კი ამომრჩეველთა ხმების 4.1% მიიღო. ამასთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 2.593.572 პოტენციური ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა 1.281.174 მოქალაქემ ანუ 49.4%-მა მიიღო. ნიკოლ ფაშინიანი აცხადებს, რომ მის პარტიას ახლადარჩეულ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება.

„ამრიგად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული არჩევნების წინასწარი შედეგების თანახმად, ახლადარჩეულ პარლამენტში პარტია „სამოქალაქო შეთანხმებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა (მინიმუმ 71 დეპუტატი 105-დან) ექნება და შექმნის მთავრობას, რომელსაც მე ვუხელმძღვანელებ“, – წერს ფაშინიანი ტვიტერში.

ბლოკი „სომხეთი“ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და აპირებს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს. ამის შესახებ ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა ვაჰე ჰაკობიანმა განაცხადა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დღეს, 22 ივნისს, პრესკონფერენციის გამართვა იგეგმება.

# საფრანგეთის რეგიონულ არჩევნებზე მაკრონისა და ლე პენის პარტიებმა დაბალი შედეგი აჩვენეს

საფრანგეთის რეგიონული არჩევნების პირველ რაუნდში, წინასწარი გამოკითხვების თანახმად, ემანუელ მაკრონისა და მარინ ლე პენის პარტიებს მოსალოდნელზე დაბალი შედეგები აქვთ. ეგზიტპოლების თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტის ცენტრისტულმა პარტიამ, შესაძლოა, 10-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახოს, რაც მეორე ტურში მონაწილეობისთვის არის აუცილებელი. „იფსოსის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვები აჩვენებს, რომ არჩევნებში პირველ ადგილს მთავარი ოპოზიციური, „რესპუბლიკური“ პარტია იკავებს 27.2 პროცენტით. მეორე ადგილზე მარინ ლე პენის პარტია „ეროვნული კრებაა“ 19.3 პროცენტით. შემდეგ ადგილებს ინაწილებენ „მწვანეთა პარტია“, „სოციალისტური პარტია“ და მაკრონის „რესპუბლიკა მოძრაობაში“.

# ჩინეთმა კორონავირუსის ვაქცინების 1 მილიარდზე მეტი დოზა გამოიყენა

ჩინეთმა ამ დრომდე კორონავირუსის ვაქცინების 1 მილიარდზე მეტი დოზა გამოიყენა. შესაბამის მონაცემებს ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს. უცნობია, ამ დროისთვის მოსახლეობის რა ნაწილია ვაქცინირებული, თუმცა ჩინეთის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ მათი მიზანია, მიმდინარე თვის ბოლომდე სრულად ვაქცინირებული მოსახლეობის 40% იყოს. ჩინეთში გამოყენებული ვაქცინების რაოდენობა მთელ მსოფლიოში გახარჯული ვაქცინების რაოდენობის მესამედზე მეტია. ჩინეთი სხვადასხვა ღონისძიებით ცდილობს მოქალაქეების ვაქცინაციის პროგრამაში მონაწილეობის წახალისებას, მათ შორის სავაჭრო კუპონებით დასაჩუქრებითა და ვაქცინის უფასოდ გაკეთებით.

# ბაიდენი თეთრ სახლში ავღანეთის პირველ პირებს მიიღებს



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი თეთრ სახლში ავღანეთის პრეზიდენტ განისა და ეროვნული თანხმობის საბჭოს თავმჯდომარე აბდულა აბდულას მიიღებს. მოლაპარაკების ძირითადი თემა აშშ-ავღანეთს შორის ურთიერთობები იქნება. მოლაპარაკებები ავღანეთიდან ამერიკული არმიის გაყვანის ფონზე წარიმართა. მიუხედავად ამისა, ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ ავღანელ ხალხს კვლავ სრულფასოვან დახმარებას გაუწევს.

# თეთრი სახლი კიმ ჩენ ინის განცხადებას გამოეხმაურა

კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ბირთვული იარაღის პრობლემა საჭიროებს გადაწყვეტას.

– ჩვენ აშშ-სთან როგორც დიალოგის, ისე კონფრონტაციისათვისაც მზად ვართ! – ამბობს კიმი.

თეთრი სახლი ამას უმალ გამოეხმაურა. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ აშშ დიალოგისათვის მუდამ მზადაა.

– კიმ ჩენ ინმა საინტერესო სიგნალი მოგვაწოდა, – ამბობს თეთრი სახლი.

# ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებისათვის ემზადება

ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებისათვის ემზადება. მიზეზი ოპოზიციის ლიდერ ნავალნის პატიმრობა და აგრეთვე სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაა.

– სანქციებს მაშინ შემოვიღებთ, როცა დავრწმუნდებით, რომ ეს ეფექტიანი იქნება, – განაცხადა ბაიდენის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში სალივანმა.

# აშშ, შესაძლოა, ნორმანდიულ ფორმატს შეუერთდეს

აშშ, შესაძლოა, ნორმანდიულ ფორმატს (რუსეთი, უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი) შეუერთდეს. ამით დონბასში სიტუაციის დარეგულირება ახალ ფაზაში შევა. ამის თაობაზე განაცხადა უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა.

– ზელენსკი-ბაიდენის შეხვედრისას აშშ-ის ნორმანდიულ ფორმატთან შეერთების საკითხი ოფიციალურად დადგება, – ამბობს კრავჩუკი.

# გენერალი კრივონოსი: „უკრაინას ბელორუსის მხრიდან საფრთხე ემუქრება“



ბელორუსში რუსეთის გავლენა სულ უფრო ძლიერდება. დიქტატორი ლუკაშენკო რუსეთის წინაშე პოზიციებს აშკარად თმობს. მზადდება რუსეთ-ბელორუსის გაერთიანება. უკრაინული არმიის გენერალი კრივონოსი თვლის, რომ ეს ფაქტი კიევს საფრთხეს უქმნის.

– შესაძლოა, ბელორუსის ტერიტორიიდან შემოიჭრას რუსული არმია, – ამბობს კრივონოსი.

გენერალმა მოუწოდა პრეზიდენტ ზელენსკის, რომ ამ ფაქტს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ქვეყნის დაცვა უზრუნველყოს.

# პროგრამა „ვზგლიადის“ ერთ-ერთი დამაარსებელი გარდაიცვალა

მოსკოვში პროგრამა „ვზგლიადის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ანატოლი ლისენკო გარდაიცვალა. ის 84 წლის იყო. ლისენკო 1959 წლიდან მუშაობდა ტელევიზიაში. მან შექმნა რიგი პროგრამები. მათ შორის უნდა გამოვყოთ „რა? სად? როდის?“ „აბა, გოგონებო“ და ა.შ. ლისენკოს სახელი უკავშირდება პროგრამა „ვზგლიადის“ შექმნას.

# ალკოჰოლიზმი რუსეთში: რომელ რეგიონში სვამენ ყველაზე მეტს?!

ტრადიციულად, ალკოჰოლიზმი რუსეთის უპირველესი პრობლემაა. გაზეთმა „იზვესტიამ“ ჩაატარა გამოკვლევა თემაზე: რომელ რეგიონში სვამენ ყველაზე მეტს. პირველ ადგილზე გავიდა მოსკოვი. შემდეგ მოდიან სანკტ-პეტერბურგი და მოსკოვის ოლქი. ათეულში მოხვდნენ სვერდლოვსკის ოლქი და ტატარსტანი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



სპორტი

# ალეგრის საკუთარი მოთხოვნები აქვს

ტურინის იუვენტუსის თავკაცმა მასიმილიანო ალეგრიმ პირველი განკარგულებები გასცა. „შეშლილმა მაქსმა“ ხელმძღვანელობას მკაფიო მოთხოვნები წაუყენა – თუ იუვენტუსის საერთო ხარისხის გაუმჯობესება სურთ, მაშინ აუცილებელია რიგი ტრანსფერების განხორციელება.




მაქსი ერთ მცველს, ორ ნახევარმცველსა და მინიმუმ ერთ თავდამსხმელს ითხოვს.

დაცვაში მერიჰ დემირალი კითხვებს ბადებს, რადგან მისი ბოლოდროინდელი ასპარეზობა უკეთესის იმედს ტოვებს. მის შემცვლელად ნიკოლა მილენკოვიჩს განიხილავენ, მაგრამ არც კრისტიან რომეროს კანდიდატურა უნდა გამოვრიცხოთ, რომელმაც ბერგამოში მაღალი დონის თამაში აჩვენა.

შუახაზში სიტუაცია უფრო რთულად ჩანს და ამ ზონაში ალეგრი ერთბაშად ორ მოთამაშეს ითხოვს. ბუნებრივია, გუნდს რიგი მოთამაშეები დატოვებენ. მაგალითად, აარონ რემზი და ფედერიკო ბერნარდესკი კლუბის გეგმებში არ შედიან.

მათ ნაცვლად იუვეს სჭირდება იმ პროფილის მოთამაშე, რომელიც თამაშის ტემპს შექმნის და ცენტრში სიტუაციას ორგანიზებას გაუწევს. ასეთი ტიპის რეჟისტა მანუელ ლოკატელია, მაგრამ მასთან ერთად მეცალასაც უნდა ველოდოთ. სხვათა შორის, არსებული შუახაზელებიდან ალეგრი ადრიენ რაბიოს განსაკუთრებულად აფასებს.

ალეგრი გუნდში ასევე ითხოვს ბოსნიელი მირალემ პიანიჩის დაბრუნებას. შედეგად, იუვენტუსმა და ბარსელონამ უკვე დაიწყეს საუბარი ნახევარმცველის თაობაზე.

კატალონიელთა გეგმებში პიანიჩი აღარ შედის და ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია ფეხბურთელს თავად რონალდ კუმანმა გააცნო.

აქედან გამომდინარე, კატალონიელები მზადყოფნას გამოთქვამენ, პიანიჩი სხვა კლუბში გაუშვან.

და ბოლოს ფორვარდი. იუვე აღარ დაუშვებს შეცდომას და სეზონს 3 ფორვარდით არ დაიწყებს. ყველანი თანხმდებიან, რომ მე-4 თავდამსხმელი აუცილებელია, თუმცა, თუ კრიშტიანუ რონალდუ კლუბს დატოვებს, მაშინ პაულო დიბალასა და ალვარო მორატას დამატებით 2 ახალი პარტნიორი ეყოლებათ.

# ანჩელოტიმ ალაბას ხუთი გოლი დაუსახა

დავიდ ალაბა პირველი ფეხბურთელია, რომელიც მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დროს მადრიდის რეალის შემადგენლობაში ჩაირიცხა.

ავსტრიელი მრავალმხრივობით გამოირჩევა: კარიერა დაცვის მარცხენა ფრთაზე დაიწყო, მაგრამ დროთა განმავლობაში გულშემატკივრებს წარმატებული ბურთაობით თავი როგორც მოედნის ცენტრში, ასევე ცენტრალური მცველის პოზიციაზე დაამახსოვრა.

პარალელურად, ალაბა შედეგიანი ფეხბურთელების რიცხვს მიეკუთვნება. მიუნხენის ბაიერნში თამაშისას 33-ჯერ მოახერხა გოლის გატანა.

გავრცელებული ინფორმაციით, კარლო ანჩელოტის დევიდის მიმართ კონკრეტული მოთხოვნა აქვს – სეზონის განმავლობაში საშუალოდ 4-5 გოლის გატანა და, ამასთანავე, თანაგუნდელების საგოლე პასებით მომარაგება.

საინტერესოა, რამდენად შეასრულებს ალაბა ახალი მწვრთნელის დავალებას.

აი, პოლ პოგბას საკითხი კი რეალის დღის წესრიგიდან მოიხსნა. ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანის ფავორიტი იყო და ფლორენტინო პერესი მის მიმართ ინტერესს იჩენდა. თუმცა ზიზუს წასვლის შემდეგ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული „ბლანკოსის“ რადარზე აღარ არის.

ანჩელოტის სხვა გეგმები აქვს და პოგბას დამატებას აღარ განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ პოგბა მანჩესტერ იუნაიტედის დატოვებას აპირებს, მას სხვა კლუბში ვიხილავთ და არა მადრიდულ გრანდში.

ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პრემიერლიგიდან წასვლის შემთხვევაში



ფრანგი ფეხბურთელი ან იუვენტუსში გადავა, ანაც პარი სენ-ჟერმენში.

სამაგიეროდ, იტალიელი დამრიგებელი რეალის შეტევის გაძლიერებაზე აქტიურად ფიქრობს.

ამჯერად ანჩელოტის რადარზე ყოფილი შეგირდი დომინიკ კალვერტ-ლუინი მოექცა, რომელმაც განვლილ სეზონში ევერტონის რიგებში 39 მატჩში 21 გოლი გაიტანა. სპეციალისტები 24 წლის თავდამსხმელის პროგრესში სწორედ კარლიტოს დიდ წვლილს ხედავენ.

ინგლისელის სატრანსფერო ღირებულება 45 მილიონი ევროს ფარგლებში მერყეობს და, გამომდინარე იქიდან, რომ ლივერპულელებს არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობა აქვთ, რეალის მხრიდან შეთავაზების შემთხვევაში ისინი ფიქრით თავს არ დაიღლიან და ეს ყველაფერი ანჩელოტის კარგად მოეხსენება.

1.90 სანტიმეტრის სიმაღლის ფორვარდი ძალისმიერი თავდამსხმელების რიგებს მიეკუთვნება.

საზოგადოება

# თემურ ცაგურია: „სიძულვილისა და შურის გზა დამღუპველია“



ასე მიაჩნია მომღერალ თემურ ცაგურიას და საზოგადოებას კარგად დაფიქრებას ურჩევს:

– როგორ შეიძლება, პოლიტიკაში არ ერეოდე და სამშობლოზე ლექსებს წერდე – შემეკითხა ერთი „მეგობარი“. პოლიტიკაში იმიტომ არ ვერევი, რომ ძალიან მომწონს სახელმწიფო საქართველო ისეთი, როგორიც არის ახლა. სულ ცოტა, 30 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და არც ერთს არ ჩამოუვარდება მრავალი პარამეტრით. გამოდის, რომ თუ პოზიციონერი ვარ, საქართველოზე ლექსი და სიმღერა არ მეთქმის?..

მეგობრებო, ოპოზიციონერებო, დაუფიქრდით, საით მიდიხართ – სიძულვილისა და შურის გზა დამღუპველია თქვენთვის... მე კი, როგორც მიყვარდა საქართველო კომუნისტების, მხედრიონის, ზვიადისა და მიშას დროს, ასევე მიყვარს, მომწონს და ვეფერები.

მეტსაც გეტყვით – თუ თქვენ, ახლანდელი ოპოზიციონერები, მომავალში მოხვალთ მთავრობაში, საქართველოზე მაშინაც ვიმღერებ. რა, ამიკრძალავთ? იგი პოზიციაში იყოო, მეტყვით? პოზიციონერი თემურ ცაგურია.

# ალექსანდრე კობერიძემ ბერლინალეს გამარჯვება რიონის ხეობის მცველებს მიუძღვნა

რეჟისორმა ალექსანდრე კობერიძემ და მისმა ფილმმა „რას ვხედავთ, როცა ცას ვუყურებთ“ ბერლინალეზე კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ჯილდო მიიღო.




რეჟისორმა გამარჯვება რიონის ხეობის მცველებს მიუძღვნა, მათ სოლიდარობა გამოუცხადა და ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალურად მომზადებული სიტყვითაც გამოვიდა:

– ეს არის ჩემი სათქმელი, რომელიც, მინდა, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა გაიგოს. საინფორმაციო ომი ჩვენს საუკუნეში ერთ-ერთი უმთავრესი ბრძოლაა. მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო ამ ბრძოლაში და რიონის ხეობის მცველებზე გიამბოთ.

ჩემს ფილმში რასაც ნახავთ, ყველაფერს საფრთხე ემუქრება – ქალაქ ქუთაისს, რიონის ხეობას, მდინარე რიონს, იქ მცხოვრებ ადამიანებსაც. ქალაქ ქუთაისთან ახლოს დიდი წყალსაცავის აშენება სურთ, რომელიც, სავარაუდოდ, გაანადგურებს მდინარეს, ხეობას, ქუთაისს და ადამიანების ბედსაც შეცვლის.

ადამიანები, რომლებიც ხეობას იცავენ, იბრძვიან მის დასაცავად უკვე თვეებია და ეს ბრძოლა არის ყოველდღიური. მათ სურთ, იმედდაკარგულ საზოგადოებაში იმედის ნაპერწკალი გააჩინონ. ეს ყველაფერი ვიცი, იქიდან მოვდივარ და მათი იმედი მეც თან დამაქვს.

ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც ცხოვრებაში ყველაზე დიდი გაკვეთილი ჩამიტარეს. იმედი ჩნდება იქ, სადაც სიმართლეა. მათი სიმართლე კი ის არის, რომ მდინარემ უნდა იდინოს.

უპირობო თანადგომისა და განუზომელი მადლიერების ნიშნად, მინდა, ეს ჯილდო რიონის ხეობის უდრეკ მცველებს მივუძღვნა, რომლებიც უკვე 233 დღე და ღამეა, რიონის ხეობასა და სიმართლეს იცავენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ეროვნულ ლიგაში დღეს მესამე წრე იწყება

დასრულდა ეროვნული ლიგის მე-2 წრე და ამით ჩემპიონატის ნახევარი გაილია. სანამ მე-3 წრის პირველი ტურის მატჩებზე გეტყოდეთ, მანამდე მე-2 წრის სიმბოლური ნაკრები უნდა წარმოგიდგინოთ, რომელიც ეროვნულმა ლიგამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

**მეკარე ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);**

**მცველები:** გიორგი ლაცაბიძე (საბურთალო), დავით კობოური (დინამო თბ), ლუკა ქაფიანიძე (ტორპედო), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ);

**ნახევარმცველები:** ბენჯამინ ტეიდი (დინამო ბთ), დმიტრი მანდრიჩენკო (საბურთალო), ულად ომარ იმრანი (ლოკომოტივი);

**თავდამსხმელები:** გიორგი ფანცულაია (დინამო ბთ), სერგო კუხიანიძე (სამგურალი), ზორან მარუშიჩი (დინამო თბ).

მე-2 წრის საუკეთესო ფეხბურთელად ლაზარე კუპატაძე დასახელდა.

მესამე წრე კი დღეს დაიწყება.

**22 ივნისი**

**ტორპედო-დინამო (ბთ)**

**19:30. ქუთაისი. რამაზ შენგელია**

ბოლო პერიოდში ქუთაისის ტორპედო მოფერიანებულია და მეორე წრეში მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ზღვისპირელებთან წარმატების დიდი შანსი აქვთ. დინამო კარგად ათამაშდა და ქულების დაკარგვას აღარ კადრულობს. თანაც, დინამოს სუნთქვა ესმის და დედაქალაქელებს მხოლოდ ბურთების სხვაობით სჯობნიან. მშვიდად ყოფნის უფლება არც ტორპედოს აქვს, რადგან გუნდი ფლეი აუტის ზონასთან ახლოს არის და მისთვის ყველა ქულას ოქროს ფასი ადევს. ასე რომ, რამაზ შენგელიაზე საინტერესო მატჩს უნდა ველოდოთ, მაგრამ დინამოელთა ფავორიტობით.

**დილა-შუქურა**

**20:30. გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

გორის დილამ ბოლო ტურებში „აურია“ და ახლა სამეულში მოხვედრაზე ფიქრობს. არადა, ერთი პერიოდი სატურნირო ცხრილსაც კი ლიდერობდნენ. მოკლედ, დილას უკანდასახევი გზა არ აქვს და, თუ მაღალი ადგილების პრეტენზია გააჩნია, უნდა მოიგოს. სათქმელად ადვილია და შესასრულებლად შუქურა ხელის შეშლას შეეცდება, რადგან ქობულეთელებს არანაკლებ სჭირდებათ ქულები, რათა სახიფათო ზონას თავი დააღწიონ.

**23 ივნისი**

**თელავი-სამტრედია**

**19:00. რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

თელაველები საშინაო მატჩს ისევ რუსთავში ჩაატარებენ და ამჯერად სამტრედიას „დაუხვდებიან“, გუნდს, რომელსაც სატურნირო ცხრილში წინა ტურში გაასწრეს და ბოლო ადგილი „დაუთმეს“.



ალბათ დიდი ფიქრი არ სჭირდება იმას, რომ უშუალო კონკურენტების თამაში დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს. თუ თელავი მოიგებს, მნიშვნელოვნად გაექცევა სამტრედიას, რაც იმერული გუნდის ინტერესებში ნამდვილად არ შედის.

**დინამო თბ-სამგურალი**

**19:30. თბილისი. დინამო არენა**

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ამ სეზონის „კერკეტ კაკალს“, წყალტუბოს სამგურალს დაუხვდება და მორიგი 3 ქულის აღებას შეეცდება. თანაც, ამ სეზონში ჯერ სამგურალი არ დაუმარცხებია — თბილისში ფრეს დასჯერდა, ხოლო წყალტუბოში წააგო. მოკლედ, დინამოს იმერლებთან თამაში უჭირს. თავის მხრივ, სამგურალსაც უნდა ქულები, რადგან სოსო ფრუიძის გუნდს ჯერ დამშვიდების უფლება არ აქვს.

**საბურთალო-ლოკომოტივი**

**20:30. თბილისი. მიხეილ მესხი**

დედაქალაქური დერბი, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ 6-ქულიანი მატჩი.

ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდები ერთმანეთს მე-3 ადგილისთვის ეჯიბრებიან. ამასთან, ცდილობენ, ლიდერებს არ ჩამორჩნენ და იქნებ უკეთესი პერსპექტივაც დაინახონ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 18 | 11 | 5 | 2 | 33-10 | 38 |
| 2.დინამო (თბ) | 18 | 12 | 2 | 4 | 29-13 | 38 |
| 3.საბურთალო | 18 | 8 | 7 | 3 | 26-18 | 31 |
| 4.ლოკომოტივი | 18 | 9 | 3 | 6 | 31-27 | 30 |
| 5.დილა | 18 | 7 | 5 | 6 | 19-18 | 26 |
| 6.სამგურალი | 18 | 6 | 6 | 6 | 17-20 | 24 |
| 7.ტორპედო | 18 | 3 | 9 | 6 | 16-18 | 18 |
| 8.შუქურა | 18 | 3 | 7 | 8 | 14-25 | 16 |
| 9.თელავი | 18 | 2 | 6 | 10 | 12-30 | 12 |
| 10.სამტრედია | 18 | 2 | 4 | 12 | 16-34 | 10 |

# იტალიას წაგებული უელსი მიჰყვა, შვეიცარია შანსს ელოდება

**იტალია-უელსი 1:0**

**რომი. ოლიმპიკო**

**1:0 პესინა (39)**

**იტალია:** დონარუმა (სირიგუ 89), ტოლოი, ბონუჩი (აჩერბი 46), ბასტონი, ემერსონი, პესინა (კასტროვილი 87), ჟორჟინიო (კრისტანტე 74), ვერატი, კიეზა, ბელოტი, ბერნარდესკი (რასპადორი 75)

**უელსი:** უორდი, განტერი, როდონი, ამპადუ, რობერტსი, ალენი (ლევიტი 86), მორელი, უილიამსი (დევისი 86), რემზი, ბეილი (ბრუკსი 86), ჯეიმსი (უილსონი 74)

**გაძევება:** ამპადუ (55)

იტალიამ მეორე შემადგენლობითაც მოიგო. აპენინელთა „მსხვერპლი“ ამჯერად უელსის ნაკრები გამოდგა — 1:0.

რობერტო მანჩინიმ შემადგენლობაში 8 ცვლილება განახორციელა. იტალიელთა თავკაცმა თავს ამის უფლება მისცა, რადგან გუნდს უკვე ფლეი ოფში ადგილი ვადაზე ადრე ჰქონდა დაბევებული. ფლეი ოფში გავიდა უელსიც, რომელმაც, წაგების მიუხედავად, ჯგუფში მე-2 ადგილი აიღო.

იტალია კარგად გამოიყურება და პირველივე ტურიდან ფავორიტებში მოექცა, თუმცა ჯერ მხოლოდ საშუალო დონის გუნდებთან გამოჩნდა, ნამდვილი ბრძოლებიც ფლეი ოფიდან იწყება და იქ მეტოქეებიც უფრო სერიოზულია. მანჩინი გუნდური ფეხბურთის მიმდევარია და ეს კარგად გადაიტანა ნაკრებში. დანარჩენი ვნახოთ...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — მატეო პესინა

24 წლის ფეხბურთელი ატალანტაში კარგად გამოიყურება და აგერ უკვე სანაკრებო დონეზეც გამოიჩინა თავი. იტალიელმა ფეხბურთელმა ამით აჩვენა, რომ ლიდერების გარეშეც შესაძლებელია გოლის გატანა.

**შვეიცარია-თურქეთი 3:1**

**ბაქო. ოლიმპიური**

**1:0 სეფეროვიჩი (6), 2:0 შაქირი (26), 2:1 კავეჩი (62), 3:1 შაქირი (68)**

**შვეიცარია:** ზომერი, ელვედი, აკანჯი, როდრიგესი, ვიდმერი, ფროილერი, ჯაკა, ცუბერი (ბენიტო 85), შაქირი (ვარგასი 75), სეფეროვიჩი (გავრანოვიჩი 75), ემბოლო (მეჰმედი 86)

**თურქეთი:** ჩაქირი, ჩელიკი, დემირალი, სოიონჯუ, მიულდური, ტუფანი (იაზიჯი 65), აიჰანი (იოკოშლუ 64), კავეჩი (კოკჩუ 80), იუნდერი (კარამანი 80), ილმაზი, ჩალჰანოღლუ (ტოკოზი 86)

ორივე გუნდს მოგება სჭირდებოდა, რათა ფლეი ოფში გასვლის შანსი შეენარჩუნებინათ. ეს უფრო უკეთ შვეიცარიელებს გამოუვიდათ, თურქეთი 3:1 დაამარცხეს და მესამე ადგილზე 4 ქულით გავიდნენ, რაც, დიდი ალბათობით, მერვედფინალში გამსვლელი უნდა გამოდგეს.

შვეიცარიელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა — ცუბერის პასი სეფეროვიჩმა გამოიყენა. გუნდის უპირატესობა პირველ ტაიმში შაქირიმ გაზარდა და გუნდს კომფორტული უპირატესობა შეუქმნა.

შესვენების შემდეგ შვეიცარიამ უკან დაიწია, რამაც თურქებს ერთი გოლის გატანის შანსი მისცა და მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა, მაგრამ იმავე შაქირიმ თურქებს ყველა შანსი მოუსპო და კარის გაჯახუნებაც კი არ აცადა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — სტივენ ცუბერი

ცუბერმა შესანიშნავად ითამაშა მარცხენა ფლანგზე. ჯერ თურქთა ერთ-ერთ ლიდერ ჩელიკს კართან მისასვლელი ყველა გზა ამოუკეტა და შეტევაშიც კარგად ერთვებოდა, საგოლე პასიც გააკეთა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| 2.უელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| 3.შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| 4.თურქეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ბარსელონა არ ჩერდება — სუპერლიგა მაინც შეიქმნება

როგორც ჩანს, სუპერლიგის შექმნის იდეა ისევ არ ცხრება. ბარსელონის პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ ევროპის სუპერლიგის შესახებ კიდევ ერთხელ ისაუბრა და მის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა. ლაპორტას თქმით, ხსენებული პროექტი არ მომკვდარა.

**ჟოან ლაპორტა:**

— პროექტი ცოცხალია — ამას კატეგორიულად ვაცხადებ. უეფასთან დიალოგს კვლავ ვცდილობთ. ტურნირის ორგანიზებისთვის ბოდიშს არ მოვიხდით. სანამ ბარსელონის პრეზიდენტი ვარ, უეფას ბოდიშს არ მოვუხდით იმის გამო, რომ ჩვენივე ბედის პატრონები გვსურს ვიყოთ.

მართალია, უეფა ჯარიმებითა და ჩემპიონთა ლიგიდან გარიცხვით დაგვემუქრა, მაგრამ დრომ დაადასტურა, რომ მართლები ვართ. საქმე შეაჩერეს და შემდეგ სეზონში ბარსელონა ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ ფეხბურთი გვიყვარს, რადგან ფეხბურთი რთულ ვითარებაშია. სახელმწიფო კლუბებს ბევრად უფრო მიმზიდველი შეთავაზებების გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე ჩვენ და ისინი აგრძელებენ ინვესტიციებს. ახალგაზრდები საინტერესო მატჩების ყურებას ამჯობინებენ, აუდიტორია იკლებს, რის გამოც ფინანსების რაოდენობა მცირდება. გვინდა, ეს იყოს ყველაზე მიმზიდველი ტურნირი მსოფლიოში. უეფასა და ლიგებს ამ საკითხის განსახილველად ვეპატიჟებით. ინგლისური კლუბები სუპერლიგის მამოძრავებელი ძალა იყვნენ, მაგრამ ისინი უეფას ზეწოლის შედეგად შეშინდნენ. ვფიქრობ, ახლა ისინი ინანებენ, რომ პროექტი დატოვეს და ნახეს, თუ როგორ დაიხია უეფამ უკან.

## შედეგები

**20 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ევრო 2020**

იტალია-უელსი ............ 1:0
შვეიცარია-თურქეთი ............ 3:1

**კოპა ამერიკა**

ვენესუელა-ეკვადორი ............ 2:2
კოლუმბია-პერუ ............ 1:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**ფლეი ოფი**

ხირონა-რაიო ............ 0:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიონდალენი-სტრომგოდსეტი ...... 1:1
ბრანი-ოდ გრელანდი ............ 1:3
მიოლდე-სტაბეკი ............ 2:1
რუსენბორგი-სარპსბორგი ............ 0:1
ტრომსო-ლილესტრიომი ............ 1:2
ჰაუგესუნდი-კრისტიანსუნდი ...... 3:0
ვალერენგა-ბოდო გლიმტი ............ 1:1

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნანი, შვილები მანანა და ლალი, შვილიშვილები ეკა, თიკო და გიორგი, შვილთაშვილები ალექსანდრე და გიორგი, და ადა და ოჯახის ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 83 წლის ასაკში გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი თბილისელი, ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება

**ჯემალ გიორგის ძე ქადაგიშვილი**

პანაშვიდი: 22, 23 ივნისს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 24 ივნისს, 14 საათზე;
მისამართი: ბათუმის ქუჩა №5, II სადარბაზო, I სართული.

შპს „თერგი-1“-ის, შპს „თი-ელ-ჯისა“ და შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ ქადაგიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოქროს კიდობანისა“ და შპს „ოქროს კიდობანი+“-ის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ

**ჯემალ ქადაგიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ ქადაგიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 5. ზღვის ფრინველი; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი, „მძიმე წყალი“; 10. სარწმუნოებითი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი; 15. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 16. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. სიბნელეში ჭუჭრუტანებიდან შემოსული მზის სხივი; 7. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 11. თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 12. მდინარე გაგრაში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 18. იტალიელი მოდელიერი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. მდინარე აშშ-ში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფინო; 2. როდეო; 3. აგუნა; 4. ვოლვო; 5. ლეკალო; 6. ნიჟარაძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. მარულა; 15. ლადარი; 16. კამიუ.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 4. ვალტორნა; 7. ნარდი; 9. ტანგო; 12. ტოშიბა; 13. კვოტა; 14. მაგატე; 17. ლიახვი; 18. მეგალომანია; 19. ჩარხილი; 20. შულერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დისპეფსია; 2. შევროლე; 3. დილეგი; 4. კლოპი; 5. ოდისეა; 11. მიქლიო; 12. ჩაქურა; 14. დილა; 16. ოპიზარი; 17. ყარაუნი; 19. მენისკი; 21. მტილი; 22. ტატრა.

**თარაზულად:** 5. ფიტარეთი; 7. კალანდა; 8. პირსი; 9. მერანო; 10. გიუმი; 13. სიმდი; 15. ნოქალაქევი; 18. ბოდრიუმი; 20. არფა; 21. მახათა; 23. ბისექსტრისა; 24. ნოველა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 ივნისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1653

ევრო — 3.7658

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3947

100 რუსული რუბლი — 4.3321

## ამინდის პროგნოზი 22 ივნისისათვის




## ვეინალდუმმა პსჟ-ზე კომენტარი გააკეთა



პსჟ-ს ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ჟორჟინიო ვეინალდუმმა თავის ახალ გუნდზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისთვის პსჟ-ში თამაში დიდი პატივია:

— ბარსელონაში გადასვლაზე ნამდვილად ვფიქრობდი, მაგრამ პსჟ-მ უფრო საინტერესო წინადადება შემომთავაზა და უარი ვერ ვთქვი. მინდა, რომ სეზონი მალე დაიწყოს და პსჟ-სთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწიო.

## დემბელესთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა

ფრანგ ფორვარდ უსმან დემბელესთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და ის, დიდი ალბათობით, მინიმუმ ორი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. დემბელეს ტრავმები ბარსელონაში გადასვლის შემდეგ მუდმივად აწუხებს და ამას უკვე მიეჩვია კიდეც. უსმანმა ამ მიზეზით ბარსელონაში ბევრი შეხვედრა გამოტოვა. დემბელე მოედანზე, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოს დაბრუნდება.

## ლევან მჭედლიძე: „ტოტის სმა უყვარს“



ლევან მჭედლიძემ იტალიაში ყოფნის პერიოდი გაიხსენა და თქვა, რომ ფრანჩესკო ტოტის სმა უყვარს და ამ მხრივ ის ქართველს ჰგავს კიდეც. მჭედლიძემ რაჯა ნაინგოლანზეც ისაუბრა და თქვა, რომ მასაც აქვს სწრაფვა ალკოჰოლის მიმართ:

— იტალიაში სპეციალური რესტორნებია, სადაც მხოლოდ ფეხბურთელები იკრიბებიან. ტოტის ბევრის დალევა შეეძლო, მაგრამ მაინც კარგ სპორტულ ფორმაში იყო. ყოველთვის მიკვირდა, ამის გაკეთებას როგორ ახერხებდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ოთახის ყვავილი აუქციონზე 19.000 დოლარად გაიყიდა

ახალ ზელანდიაში აუქციონზე ოთახის ყვავილი 19.297 დოლარად გაიყიდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მცენარეს რვა გაშლილი ფოთოლი აქვს.



აღსანიშნავია, რომ სულ ვაჭრობაზე 248 განაცხადი იყო შესული. ფსონმა უიშვიათეს ოთხთესლიან ჭრელ რაფიდოფორაზე ვაჭრობის ბოლო ოთხ წუთში მკვეთრად აიწია, ვინაიდან ორ მყიდველს ერთმანეთისთვის ლოტის დათმობა არ სურდა.

— აუქციონზე ბოლო წუთებში მყიდველების ცხარე ბრძოლის შემდეგ ამ უიშვიათესმა მცენარემ 102 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა და 1600-ზე მეტ სიაში მოხვდა. ეს კი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად უყვართ ახალზელანდიელებს ოთახის მცენარეები, — განაცხადა ონლაინაუქციონის წარმომადგენელმა მილი სილვესტრმა. მან ასევე დაამატა, რომ რაფიდოფორა ყველაზე ძვირადღირებულ ოთახის მცენარედ იქცა მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე აუქციონზე გაყიდულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 22 ივნისისათვის



**ვერძი** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კურო** — ფინანსური მდგომარეობა კვლავ გიუმჯობესდებათ. ამის მიუხედავად, ნუ გარისკავთ. თუ თქვენი სამუშაო არ მოგწონთ, მის შეცვლას ნუ იჩქარებთ. **ტყუპები** — ახალი საქმეები შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ, მაგრამ რისკი გაუმართლებელია. თავქარიანობა არ გამოგადგებათ. **კირჩხიბი** — ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ლომი** — ნუ იაქტიურებთ. იზრუნეთ სულიერებაზე. ამაო დაპირებები არ გასცეთ. შემოქმედებითი დღეა. **ქალწული** — დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **სასწორი** — გეგმების რეალიზებას იოლად ახერხებთ. თუ დაგჭირდათ, მეგობრები დაიხმარეთ. ისინი ამას სიამოვნებით გააკეთებენ. **მორიელი** — არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **მშვილდოსანი** — კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **თხის რქა** — სამსახურში უფროსობა თქვენით კმაყოფილია. გელით კარიერული წინსვლა და სხვა სასიამოვნო სიახლეები. ეს განსაკუთრებით შემოქმედ ადამიანებს ეხება. **მერწყული** — კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **თევზები** — იყავით ჰუმანური, დამთმობი, მიმტევებელი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გაიკეთეთ წყლის პროცედურები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ე.ი. ამტკიცებ, რომ მხოლოდ მადის მოსაყვანად დალიე?

— ჰო.

— და ასეთი საშინელი მთვრალი რატომ ხარ?!!!

— საშინელი უმადობა მქონდა...

•••

მთვრალი მამაკაცი სამგლოვიარო პროცესიას შეესწრება და ჭირისუფლებს შორის ნაცნობს დაინახავს:

— ვაიმე, გივი, როგორ ხარ, ბიჭო? რამდენი წელია, არ მინახიხარ!

— ბოდიში, ცოლი გარდამეცვალა და...

— ვაა, ცოლიც მოგიყვანია?! გილოცავ!

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

— ძვირფასო, იცი, ახლა საუნაში ვარ... და აქ მართლაც ყველაფერი ისეა, როგორც შენ მეუბნებოდი, არანაირი ქალები, მხოლოდ მამაკაცები არიან!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

— შენ, ვგონებ, მკერავი ხარ. ასეა?

— დიახ. რით შემიძლია, დაგეხმარო?

— რა და შენს კატას უკანალი გაუკერე, ჩემი კარის წინ რომ აღარ მოისაქმოს.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— შენი ჩემი საერთოდ არ გესმის!

— როგორ უნდა მესმოდეს შენი, როდესაც ახლახან მთელი წარბები დაიპუტე და ახლა ახალს იხატავ?!

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

— როგორ დაამთავრა სკოლა ჩვენმა შვილმა?

— ნორმალურად, სკოლა ადგილზეა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მასტერი: „უბრალო ადამიანების დეფიციტია“



რეპერი მასტერი წუხს, რომ საზოგადოებაში უბრალო ადამიანების დეფიციტია:

— უბრალო ადამიანების დეფიციტია, ადამიანების, რომლებიც არაფრის დამტკიცებას არ ცდილობენ, ადამიანების, რომლებიც იღიმიან გულწრფელად და არ აქვთ მიზანი, ვინმეზე მეტად სასურველნი ან მიმზიდველნი გამოჩნდნენ. იმ ადამიანების დეფიციტია, რომლებიც ჯერ პოზიტიურ ნიშნებს ეძებენ სხვა ადამიანებში, ვიდრე ნაკლოვანებებს.

ემოციების დეფიციტია და იმ ადამიანების, რომელთათვის არაფერს ნიშნავს მატერიალური საგნები და ყველაზე მაღლა აყენებენ ურთიერთობებსა და გრძნობებს — ჭეშმარიტ გრძნობებს, რომელსაც ვერ იყიდი.

ადამიანების დეფიციტი, იმ ადამიანების...

## რუსთაველის თეატრი რუსეთში სპექტაკლს ითამაშებს

შოთა რუსთაველის ეროვნული თეატრი რუსეთში ჩავა და მონაწილეობას მიიღებს ჩეხოვის სახელობის თეატრალურ ფესტივალში.

მოსკოვში გამართულ ფესტივალზე რუსთაველის თეატრი ითამაშებს რობერტ სტურუას მიერ დადგმულ ერთ-ერთ ბოლო სპექტაკლს „თამაშის დასასრული“.

რობერტ სტურუა, რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

— ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ მოსკოველი მაყურებლისთვის შეგვიძლია ვითამაშოთ ჩვენი ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი. არაჩვეულებრივი პიესა, არაჩვეულებრივი ავტორი და, მგონია, რომ მსახიობებიც ცუდად არ თამაშობენ.

ნანა ფაჩუაშვილი, მსახიობი:

— ახლა, როცა ჩვენ ვთამაშობთ ასეთ რთულ პიესას, რუსი მაყურებლის იმედი გვაქვს, რადგან რუს მაყურებელს უყვარს მოსმენა და გააზრება.

## ნინო ბაშარული ქართულ ტელევიზიებს აკრიტიკებს



მომღერალი ნინო ბაშარული ქართულ ტელევიზიებს აკრიტიკებს და მათ ეთერში საინტერესო გადაცემების ნახვის სურვილს გამოთქვამს:

— ქართულ ტელეარხებს დიდი ხანია არ ვუყურებ, რამდენიმე კარგი გადაცემის გარდა, საზოგადოებრივზე. ფეისბუქი რასაც ამომიგდებს ხოლმე, ვხვდები, რომ ძირითადად ვიღაც „ნაშების“ პირად ცხოვრებასა და მათ მეტამორფოზებს აშუქებენ, ან კიდევ მართლა კარგი ტიპების, არასტერეოტიპების გაშავების პერფორმანსებს დგამენ.

რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია — აპ, აპ, აპ, იმის გაგონებაც არ უნდა მედიას. პირზე აკერია, ხალხის მოთხოვნებს აღვასრულებთო, კაცოოო...

გადახედეთ მაინც, რამდენი სახის საოცარი ტელეგადაცემა არსებობს. რა ჯანდაბა გჭირთ საერთოდ, ხვდებით მაინც?!

სამჯერ ვიტყვი და იქნებ აღსდგეს ქართული მედია მკვდრეთით — აღსდექ, მედიავ! აღსდექ! აღსდექ, რაღა!

## დეა კულუმბეგაშვილის „დასაწყისი“ საქართველოს კინოთეატრებში გამოვა



რეჟისორ დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“ 24 ივნისიდან საქართველოს კინოთეატრებში გამოვა. ფილმი, რომელიც არაერთი საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული და პრიზიორია, ქართველი მაყურებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

— „ახალი ხმა კინოში“ — ასე მოიხსენიებს საერთაშორისო პრესა დეას დებიუტს. ფილმი შეირჩა კანის კინოფესტივალის ოფიციალურ პროგრამაში და არაერთ ფესტივალზე დასახელდა წლის საუკეთესო ნამუშევრად.

„დასაწყისი“ დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ნამუშევარია და მასში მთავარ როლს ია სუხიტაშვილი ასრულებს.

## ქეთათო სასამართლოს მიმართავს



ირაკლი ჩარკვიანის მეუღლე, ქეთათო პოპიაშვილი, ტელეკომპანია „იმედის“ წინააღმდეგ სასამართლოში აპირებს ჩივილს. მან ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორ ნიკოლოზ ლალიაშვილს ღია წერილით მიმართა:

— 1) ტელეიმედთან წლებია, ვთანამშრომლობ და აქამდე არასდროს გვქონია საავტორო უფლების ლიცენზირების პრობლემა; 2) ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემი უფლებების დარღვევის მიუხედავად, ვყოფილიყავი დელიკატური, ალბათ ზედმეტადაც კი, არასდროს გამიხმაურებია დარღვევის ფაქტები და სასამართლოს ნაცვლად ყოველთვის მოლაპარაკებებს მივმართავდი; 3) რთულად დავუშვებდი, რომ ლიცენზირების მორიგი მოთხოვნის შემდეგ ერთ-ერთი უმსხვილესი ქართული მედია მიმართავდით ასეთ არასერიოზულ ხერხს და მტკიცებულების გასანადგურებლად, უბრალოდ, წაშლიდით ჩანაწერს; 4) თქვენ წაშალეთ ჩანაწერი, მაგრამ საძიებო სისტემაში შენახულია ჩანაწერის ქეში, რითაც დასტურდება მასალის არსებობა, რაც ძალიან უხერხულად წარმოაჩენს თქვენს ქმედებას; 5) აუცილებლად მივმართავ სასამართლოს, რათა დავიცვა ჩემი დარღვეული უფლებები და ყველამ ისწავლოს, ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაში ხელოვანების შრომის დაფასება და საავტორო მასალის ლეგალური მოხმარება.

პატივისცემით, ქეთათო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 2. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი, სოპრანო; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 11. ალალი, გულუბრყვილო ადამიანი; 15. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 16. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. შესწორება, გასწორება; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. გრძელ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 22. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე.

**თარაზულად:** 5. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 7. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 10. ღამის პეპელა; 12. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 13. ღვინის თიხის სასმისი; 14. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჩქარტემპიანი მექსიკური ცეკვა; 20 ტროპიკული პალმის ნაყოფი; 23. ქართული მინერალური წყალი; 24. ქართული ლუდი; 25. თხელფურცლოვანი რკინა; 26. რაიონული ცენტრი იმერეთში; 27. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

